საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 14 აგვისტო. 2018 წ. №162 (8563) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

სამი ინსტანციის სასამართლომ დეკანოზი გიორგი მამალაძე გაამტყუნა!!!

ჩვენ არ ვიცით, შეიწყალებენ თუ არა მამალაძეს, მაგრამ მას აუცილებლად მოუწევს, პასუხი გასცეს წმინდა სინოდს იმ ცილისწამებების გამო, რასაც თითქმის ორი წელია, ავრცელებს

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

ბოლო დროს კვლავ გააქტიურდა ზოგიერთი მედია დეკანოზ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით. მას წარმოაჩენენ სიმართლისთვის დევნილად, კორუფციასთან მებრძოლად და ამ მიზეზით დასჯილად; საპატრიარქოს კი , — დამნაშავეთა დამფარველად და უსამართლობის ხელშემწყობად.

ამ აზრს კარგა ხანია, ავრცელებენ, თუმცა არა ასეთი აქტიურობითა და სიმკვეთრით. ამის მიზანია ეკლესიის და სასულიერო დასის დისკრედიტაცია და, მსჯავრდებულის შეწყალების მისაღწევად გარკვეული ზემოქმედების მოხდენა პრეზიდენტზე და საზოგადოებაზე.

„ციანიდის“ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს თავისი პოზიცია დღემდე არ გამოუხატავს ორი მიზეზის გამო: არ იცნობს გამოძიების მასალებს და ამასთან, თავს იკავებს განცხადებებისაგან, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, დამატებითი ზიანი არ მიეყენოს დაკავებულს.

მატყუარა ცოდვილები!..

ჩვენ გვაქვს მოცემულობა, რომ, ფაქტობრივად, სამი ინსტანციის სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

ჩვენ ვერ შევაფასებთ სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს, მაგრამ შევნიშნავთ, რომ, სამწუხაროდ, როგორც დეკანოზი გიორგი მამალაძე, ისე მისი ინტერესების დამცველები მედიასთან ურთიერთობაში სიცრუეს მუდმივად იყენებენ და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

სიცრუეა ისიც, თითქოს საქართველოს საპატრიარქოში მილიონობით თანხებზე ხდება კორუფციული გარიგებები და რომ დეკანოზი ამის მხილებას შეეწირა.

საერთოდ, ეკლესია არავისი დაპატიმრების მოსურნე არ არის; ამისთვის იმ ადამიანებსაც არ იმეტებს, რომელთაც მორალურად თუ მატერიალურად სერიოზული ზიანი მიაყენეს მას. რატომ იქნება იგი მამალაძის დაჭერის მომხრე, ან რატომ არ დაიცავს მას, თუ ამის საფუძველი მიეცემა?!

ჩვენ არ ვიცით, შეიწყალებენ თუ არა მამალაძეს, მაგრამ მას აუცილებლად მოუწევს, პასუხი გასცეს წმინდა სინოდს იმ ცილისწამებების გამო, რასაც თითქმის ორი წელია, ავრცელებს, ან მისი სახელით ავრცელებენ!

საქართველოს საპატრიარქო

P. S. ამ განცხადების გავრცელებას წინ უძღოდა საგანგებო სხდომა, რომელსაც მღვდელმთავრები და წმინდა სინოდის წევრები ესწრებოდნენ.

აშშ-ის სამხედრო ხომალდი შავ ზღვაშია

აშშ-ის საზღვაო სამხედრო ძალების რაკეტსაწინააღმდეგო სისტემით აღჭურვილი ხომალდი, Carney-ი შავ ზღვაში შევიდა. „Carney-ის შავ ზღვაში შესვლა ადასტურებს ჩვენს მისწრაფებას, რეგიონში შევინარჩუნოთ უსაფრთხოება და სტაბილურობა. იმ პერიოდში, სანამ აქ ვიქნებით, შევძლებთ, გავაძლიეროთ ურთიერთობები და ინფორმაციის გაცვლა რეგიონის ქვეყნებთან“, — განაცხადა ხომალდის კაპიტანმა. ნაღმოსანი Carney-ი აშშ-ის მე-6 ფლოტის შემადგენლობაში შედის და Arleigh Burke-ს ტიპის ხომალდია.

ქართველთა მამულიშვილობამ ჩაილულის წყალი დალია?!.

③

ვიქტორ შენდეროვიჩი: ...რუსეთი ნელ-ნელა ფხიზლდება და ხვდება, რა ჩავიდინეთ 2008-ში

⑧

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

ძვირფასო ბიზნესმენებო, გაზეთის დახმარების მსურველნო, ნებისმიერი ოდენობის თანხა შეგიძლიათ, ჩაურიცხოთ რედაქციას შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ვინ იქნება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე?

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურასთან დაკავშირებით დაწყებულ კონსულტაციებს ეხმაურება. ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ მიმდინარე კონსულტაციებთან დაკავშირებით მისი მოლოდინი პესიმისტურია, რაც მისი თქმით, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარეობს.

პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, რომ გიორგი მარგველაშვილი სასამართლოში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე თავის თანამშრომლებს ნიშნავდა ხოლმე, რაც მისი თქმით, ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. მიუხედავად ამისა, კობახიძე ამბობს, რომ მიმდინარე კონსულტაციებში საპარლამენტო უმრავლესობა ჩაერთვება.

„რამდენადაც ვიცი, შედგა კომუნიკაცია უმრავლესობის ლიდერთან და მან დაადასტურა მზადყოფნა, რომ პრეზიდენტთან კონსულტაციები გამართოს. რაც შეეხება ჩვენს მოლოდინებს, არის გარკვეული პესიმიზმი ჩვენს მოლოდინებში, რაც გამომდინარეობს იმ წარსულიდან, რომელიც არის დაკავშირებული პრეზიდენტის მიერ მოსამართლეების გამწესებაში მონაწილეობასთან. როგორც მოგეხსენებათ, ის რეგულარულად, თავის თანამშრომლებს ნიშნავდა ხოლმე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე სასამართლოში, რაც არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს. ამას ჰქონდა თავისი, ძალიან მკაფიო, ლოგიკური ახსნა, მას ჰქონდა თავისი სუბიექტური ინტერესები და ხელმძღვანელობდა ამ ინტერესებით, სხვანაირად ვერ აიხსნება თანამშრომლების გაგზავნა სასამართლო სისტემაში. აქედან გამომდინარე, მოლოდინი არის საკმაოდ პესიმისტური, თუმცა ვნახოთ, კონსულტაციები გაიმართება და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას“, – განაცხადა კობახიძემ.

ორბელიანის მოედანი განახლდება

ორბელიანის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების ძირითადი ნაწილი 2018 წლის ბოლოს დასრულდება, – განხორციელებული და მიმდინარე სამუშაო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ თბილისის მერთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად დაათვალიერა. ორბელიანის მოედნის რეაბილიტაცია 18 მისამართზე სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს, 150 მანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობას და კეთილმოწყობის სამუშაოებს მოიცავს.

ამ ეტაპისთვის დასრულებულია კონსტრუქციული გამაგრების სამუშაოები და მიმდინარეობს ფასადების, მხატვრული დეტალების აღდგენა-რესტავრაცია, შენობების გადახურვების რეაბილიტაცია და ა.შ.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის 13 ძეგლს შესაბამისი წესების დაცვით სათანადო სამუშაოები ჩაუტარდება. სამუშაოების ჯამური ღირებულება 55-60 მილიონ ლარამდეა. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ორბელიანის მოედნისა და მიმდებარე ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდება, მოწესრიგდება და განახლდება ყვავილების ბაზარი და სარეკრეაციო სივრცეები. თბილისს კიდევ ერთი საფეხმავლო ზონა შეემატება. აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს დიდი ტურისტული მარშრუტის გაგრძელებას მუშთაიდის ბაღიდან დავით აღმაშენებლის რეაბილიტირებული გამზირის გავლით თავისუფლების მოედნისკენ.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით ტვირთების გადაზიდვა გაიზრდება

აზერბაიჯანის პრეზიდენტს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით ტვირთების გადაზიდვის გაზრდის იმედი აქვს. „სატრანსპორტო პროექტებზე, რომლებიც ახალ პერსპექტივებს ხსნის, ინფორმაცია ტაჯიკეთის პრეზიდენტს მივაწოდე. კერძოდ, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით ჩაშვება და ალიატში ახალი პორტის მშენებლობა ახალ საშუალებებს ხსნის, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ტაჯიკეთიდან ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის გამოყენებით ტვირთების გადაზიდვები გაიზრდება“, – აცხადებს ალიევი.

როდესაც სტრასბურგის მოსამართლეები კადრებს ნახავენ...

ეს განცხადება, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ე.წ. ციანიდის საქმესთან დაკავშირებით გააკეთა.

„არ მინდა, სიღრმეში შევიდე. მე პირადად მაქვს ნანახი ის ვიდეოკადრები, რომელიც საგამოძიებო მოქმედებების შემდეგ გავრცელდა. როდესაც სტრასბურგის მოსამართლეები ამ კადრებს ნახავენ, ისინი, ალბათ, თავის ობიექტურ გადაწყვეტილებას ჩამოაყალიბებენ“, – განაცხადა კობახიძემ.

კობახიძემ მსჯავრდებული დეკანოზის შესაძლო შეწყალებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვასაც უპასუხა და თქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობს.

„ჩვენთვის სახელმძღვანელოა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არსებობს. არის კონკრეტული განაჩენი და უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ განაჩენის შესაბამისად. შეწყალებას რაც შეეხება, ეს არის პრეზიდენტის გადასაწყვეტი, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ“, – განაცხადა კობახიძემ.

სასახლე ისევ თავსატეხია!..

კობახიძის თქმით, მთავარი ამოსავალი წერტილი, რითაც გუნდმა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დაკავშირებით უნდა იხელმძღვანელოს, არის ის, რომ რეზიდენცია პრეზიდენტის უფლებებს და მოვალეობებს შეესაბამებოდეს.

„მე თავის დროზე არაერთხელ მაქვს გამოხატული ჩემი სუბიექტური პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის სასახლე უნდა შეესაბამებოდეს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს. ეს არის მთავარი ამოსავალი წერტილი და აქედან გამომდინარე, უნდა ვიხელმძღვანელოთ“, – განაცხადა კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბარში.

მაინც ვინ ჩაითრია კონფლიქტში საქართველო?!

ჯიბიდან გავარდნილი პოლიტიკური ინტრიგანები – მიხეილ სააკაშვილის ამჟამინდელი და ყოფილი თანამოსაგრენი ცდილობენ, „კუთხეში მიიმწყვდიონ“ საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი.

ამასწინანდელ ბრიფინგზე ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ **ასი წლის წინათ რუსეთმა ომი დაუწყო საქართველოს, ხოლო 2008 წლის აგვისტოში საქართველო ჩაება რუსეთის პროვოკაციაში და დაიწყო საომარი მოქმედებები რუსეთის წინააღმდეგ**. არადა, მთელი გასული ათი წლის განმავლობაში ამასვე ამბობდა და ამბობს მრავალი დამოუკიდებელი ექსპერტი და თვით „ქართული ოცნების“ ლიდერები. ეს თქვა 9 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემაც: **„მრავალი ევროპელი პოლიტიკოსი, მათ შორის ჩვენი ამერიკელი მეგობრები, საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას აფრთხილებდნენ, რომ რუსეთი გეგმავდა სამხედრო ოპერაციის სცენარს. სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ თავიდან აეცილებინა ვითარების ამგვარი განვითარება, ხელისუფლებაში მყოფმა ადამიანებმა, ვერ შეძლეს, ხელი შეეშალათ რუსული სცენარის განხორციელებისთვის, ვერ აარიდეს ქვეყანას სერიოზული საფრთხე და**

შედეგად მთელი საქართველო აღმოჩნდა კატასტროფულ ვითარებაში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. როგორც ვხედავთ, იგივეა თქმული, რაც სალომე ზურაბიშვილმა თქვა, ოღონდ სხვა სიტყვებით.

მაგრამ საქმე ის არის, რომ პრემიერ-მინისტრი ბახტაძე ამა წლის შემოდგომაზე კენჭს არ იყრის საქართველოს პრეზიდენტობაზე, მაშინ, როცა სააკაშვილის ორმა თანამოსაგრემ პრეტენზია გამოთქვა პრეზიდენტის პოსტზე. მათთვის სალომე საშიში და გავლენიანი მოწინააღმდეგეა, ის მათთვის ყელში გაჩხერილი ფხაა, ე.ი. საჭიროა მისი ჩაწიხლვა, მისი გაშავება და აი, დაიწყო ბაკქანალია, როგორ გაბედა ზურაბიშვილმა საქართველოს დადანაშაულება ომის დაწყებაშიო, სიცრუის ტელეარხი „რუსთავი-2“ თავის გადაცემებს ქალბატონი ზურაბიშვილის „ღალატის“ დაგმობით იწყებს და ამთავრებს.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი „ევროპული საქართველოდან“ დავით ბაქრაძე (ის ბაქრაძე, რომელიც 2008 წლის აგვისტოში ქართველ ხალხს მოუწოდებდა კარზე მომდგარ რუსულ ტანკებს დანებითა და ჩანგლებით შებრძოლებოდა), ლაპარაკობს საქართველოსთვის სალომე ზურაბიშვილის სიტყვების რაღაც კატასტროფულ საშიშროებაზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი, სააკაშვილის მთავრობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი შეფი გრიგოლ ვაშაძე, რომელსაც თითქოს არ სურს პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის ლანძღვა, მხარს უბამს დავით ბაქრაძეს: **„დაე, ქართველმა ამომრჩეველმა თვითონ შეაფასოს სალომე ზურაბიშვილი, მისი განცხადებები და მსოფლმხედველობა“**.

თავის გამონათქვამებში სალომე ზურაბიშვილმა, რა თქმა უნდა, დაუშვა უხეში შეცდომა. საქართველო კი არ ჩაერთო რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომში, ის ამაში ჩაითრია ქვეყნის მაშინდელმა არაადეკვატურმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა. სამწუხაროდ, საქართველო თვითონ აღმოჩნდა მსხვერპლი იმჟამინდელი რეჟიმისა, პირველ რიგში თვით ექსპრეზიდენტისა, რომელმაც თავისი ავანტიურიზმით დაუფიქრებელი ქმედებებით კი არ ჩაითრია, არამედ პირდაპირ ჩაძირა ქვეყანა სისხლის მორევში. სალომე ზურაბიშვილის ლანძღვით, მისთვის ობსტრუქციის მოწყობით, ყოფილი პრეზიდენტის თანამოაზრენი ცდილობენ საქართველო, მისი ხალხი და ავანტიურისტი სააკაშვილი გაიგივონ ერთმანეთთან და ამით ტოლობის ნიშანი დასვან საქართველოსა და თავიანთ შორისაც. მაგრამ, როგორც არ უნდა უნდოდეს ეს ვინმეს, როგორც არ უნდა ესურვილებოდეს ეს „მებრძოლი“ მიშიკოს საქართველოს პარლამენტში მსხდომ მომხრეებს, სააკაშვილი არ არის საქართველო და მისი ხალხი. ქვეყანა სისხლიან სასაკლაოში ჩაითრია სწორედ მან. ეს არის სწორი პასუხი კითხვაზე: „ვინ ვინ ჩაითრია 2008 წლის აგვისტოს ომში?“

რითაც „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები და მათი „ხმის შემწყობნი“ ყოველდღე ტვინს უხვრეტენ სალომე ზურაბიშვილს.

ვადიმ ანასტასიადი

ქართველთა მამულიშვილობამ ჩილულის წყალი დალია?!..

ყველაზე დიდი უბედურება აღვირახსნილი თავისუფლებაა.
ემანუელ კანტი

ოდითგანვე ქართველებს სამშობლოს სიყვარული, ანუ პატრიოტიზმი ასულდგმულებდა და სიცოცხლეს სწირავდნენ მის გადასარჩენად. მარტო ჩვენი მირონცხებული მეფეების გმირობისა და თავგანწირვის ჩამოთვლაც იკმარებდა იმისთვის, რომ თვალნათლივ გვეჩვენებინა, თუ რა სასწაულებს ახდენდნენ ისინი სამშობლოსათვის. ქვეყნის წინაშე მეფეთა თავდადება ერმა და მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ღირსეულად შეაფასა და არაერთი მათგანი წმინდანად შერაცხა.

სამშობლოს ბედნიერებისათვის მებრძოლი და თავგანწირული ადამიანები არასდროს მოჰკლებია ჩვენს ბედკრულ საქართველოს. ყველა საუკუნეში და ეპოქაში იყვნენ ერის სახელოვანი შვილები, რომლებიც ერთგულად იდგნენ მამულის, საყვარელი სამშობლოს დამცველებად. გონიერი, მოაზროვნე, შემოქმედი, იდეების ერთგული, პატიოსანი და მოუსყიდველი პიროვნებები ალამაზებდნენ და ამკობდნენ ქვეყნის, ერის იმიჯს, ზრუნავდნენ სამშობლოს მომავლისათვის. ღვაწლმოსილ მამულიშვილთა შორის აუცილებლად უნდა დავასახელოთ ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე სარაჯიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და ვინ მოსთვლის სახელოვან მამულიშვილებს, მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს, რეჟისორებს, კომპოზიტორებს, რიგით ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი ცოდნა, გამოცდილება, ინტელექტი და შემოქმედება სამშობლოს წინსვლას და ერის კეთილდღეობას შესწირეს.

ეს მცირედი შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენოთ წარსული და იმაზეც ვთქვათ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს საზოგადოებაში, როგორ ვითარდება ახალგაზრდობა, ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი მომავალი, როგორი იქნება ჩვენი ბედკრული სამშობლო XXI საუკუნის ბოლოს, გაუძლებს თუ არა სრულიად საქართველო მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებს.

ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ინტელიგენციამ, საზოგადოების მოწინავე ნაწილმა უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა სამშობლოს გადასარჩენად.

და აი, სათქმელს მივადექით. ვინ შეიძლება ჩაითვალოს ინტელიგენტად.

ინტელიგენტი ინტელიგენციის შემადგენელი პიროვნებაა, რომელიც გამოირჩევა გონიერებით, აზროვნებით, შემოქმედებით, პრინციპულობით, იდეების ერთგულებით, პატიოსნებით, მოუსყიდველობით. საზოგადოებაში სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით. სამწუხაროდ, ნებისმიერი ინტელექტუალი არ არის ინტელიგენტი, ამის კლასიკური მაგალითია, რომ იტყვიან, ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებულ პოლიტიკურ პარტიებში მოკალათებული ინტელექტუალური პიროვნებების საქმიანობა („გირჩი“, „ნაცმოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „რესპუბლიკური პარტია“ და სხვები), რომლებიც ერთი შეხედვით სამშობლოს მომავლის გულდათუთქული გულშემატკივრები არიან, მაგრამ სინამდვილეში რევანშისტული ფსიქოლოგიით, ხელისუფლებაში მოსვლის ჟინით არიან განმსჭვალულნი. ისინი ავანტიურისტული აზროვნების ადამიანები არიან, ამასთან, საქართველოს ხვალინდელი დღე ჩირადაც არ უღირთ. ეს ჭეშმარიტება მათ განვლილ წლებში თვალნათლივ დაამტკიცეს და მკითხველებს არ გადავიღლი პარტიების ლიდერთა „საგმირო“ საქმეებით.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, ყველა ქვეყანაში ინტელიგენციას, ანუ საზოგადოების მოწინავე ნაწილს უდიდესი გავლენა შეუძლია მოახდინოს ქვეყნის განვითარებაზე, გონივრული რჩევა მისცეს ხელისუფლებას. ამიტომაცაა, რომ ბევრ სახელმწიფოში ხელისუფლება ღირსეულად აფასებს ინტელიგენციის ღვაწლს და ყოველმხრივ ცდილობს, შექმნას ინტელიგენტთა ერთობა, ანუ სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც გვერდში დაუდგება ხელისუფლებას და ერთგული, მოუსყიდველი რჩევებით დაეხმარება ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში.

რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში და, კონკრეტულად, ბორჯომის ხეობაში. ვგრძნობთ თუ არა ინტელიგენციის როლს სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

თუ გულახდილები და გულწრფელები ვიქნებით, ვიტყვი, რომ, სამწუხაროდ, დღეს ჩვენში ნაღდი ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ იგრძნობა. დღეს არც რესპუბლიკაში და არც ჩვენს ხეობაში სამოქალაქო საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდა, ამიტომაცაა, რომ ზოგადად სახელმწიფო მმართველობას უჭირს ქვეყნის მართვა, უჩინო ნაწილი ყოველმხრივ ცდილობს, დააკნინოს ნაღდი ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ათასნაირი ეპითეტებით ამკობს მის ღირსებას და დამსახურებას, ხან „ჩარეცხილებია“, ხან „კრემლის აგენტები“, მოითხოვენ ჭეშმარიტი ინტელიგენტებისაგან ქვეყნის გაწმენდას, რათა გზა გაითავისუფლონ ხელისუფლების სათავეებისკენ, ქვეყანაში დაამკვიდრონ ქაოსი და განუკითხაობა „თავისუფლების“ და „დამოუკიდებლობის“ და „ჯოს“, „ჯოს“ ძახილით, აქციებით სამშობლოს სიყვარული მეათე ხარისხში გადაიყვანონ, კიდევ უფრო მოამრავლონ ნარკომანები (თითქოს გვაკლდეს ამ კატეგორიის ადამიანები, მსოფლიოში მესამე ადგილზე ვართ და 300 ათასი ნარკომანი დღეს მოითხოვს ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციას და ლეგალიზაციას). ფართო გზა გაუხსნან პროსტიტუტკების და გეების, აღვირახსნილ ცხოვრებას. ახალგაზრდობას დაავიწყონ ერის წარსული, ტრადიციები, მემკვიდრეობითობა, მართლმადიდებლური წეს-ჩვეულებები, სარწმუნოებისადმი უპირველესი სიყვარული, სულიერების, ზნეობისა და პატრიოტიული გრძნობებისადმი პატივისცემა.

ახლა ხშირად გაიგონებთ, ახალგაზრდობა გაირყვნაო, საზოგადოებამ დაკარგა უფროს-უმცროსობისადმი პატივისცემაო, დავიწყებას ეძლევა საუკუნეების მანძილზე კეთილ ტრადიციად ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებები. ალბათ, ამ თვისებების უგულებელყოფის გამო ამბობდა ზვიად გამსახურდია **„თუ გსურს ერი, ან ადამიანი გახრწნა და გადააგვარო, მას არა მარტო უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი, თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატეები კი – გმირებად“**.

პატრიოტიზმზე, ანუ სამშობლოს ერთგულ სიყვარულზე და თავდადებაზე საუბარი მეტად საძნელო საქმეა, რადგან სიტყვასა და საქმეს შორის ზღვარი დიდია. თვითონ განსაჯეთ, ხშირად „ჩვენობით“ საუბარი მოგვწონს, არადა „მეთი“ საუბარი ჯობია. არცთუ იშვიათად წარსულით ვამაყობთ (ეს ხშირად მაშინ გვემართება, როცა სუფრასთან ვიმყოფებით), **არადა, ჯობდა კონკრეტულად გვეფიქრა, რას ვაკეთებთ, როგორ ვზრუნავთ თითოეული ჩვენგანი ჩვენი უბნისთვის, სოფლისთვის, ქალაქისთვის და ბოლოს სამშობლოსთვის, თუ პატრიოტი ხარ, ეს უნდა იყოს მთავარი განმსაზღვრელი ჩვენი ყოველდღიური საქმიანობისთვის.**

„მხოლოდ უვიცობა, უკულტურობა, თავის თავზე დიდი წარმოდგენა და სიზარმაცეა ჩვენი შეურიგებელი და დამაბრკოლებელი მტერი ცოდნისკენ მიმავალ ფართო შარაგზაზე“, – წერდა ერის დიდი განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი და როცა ამ სტრიქონებს კითხულობ, ალბათ, გაოცებული რჩებით რესპუბლიკური პარტიის ყოფილი თავმჯდომარის, პარლამენტის ყოფილი სპიკერის, ბატონი დავით უსუფაშვილის ნათქვამით: – **„ჩვენ ჩვენს შვილებს არ ვეუბნებით, რომ შენ, ჩემო შვილო, დაიბადე და გაგაჩინეთ იმისთვის, რომ სამშობლოს გმირად უნდა შეეწირო. მე ამას არ ვეუბნები შვილებს. მე ვეუბნები, რომ შვილო, თქვენ დაიბადეთ, შეიქმენით და გაჩნდით ამ ქვეყანაზე, იყოთ თავისუფალი და ბედნიერნი“**.

სამწუხაროა, რომ კაცი, რომელიც საკუთარ შვილებს არ ასწავლის სამშობლოსთვის თავდადებას და მის სიყვარულს, წერილს უგზავნის ქვეყნის პრეზიდენტს და „სამშობლოს გადასარჩენად“ გაერთიანებისკენ მოუწოდებს კაცს, რომელსაც ქართველი ერი დებილებად და გონებაჩლუნგებად მიაჩნია, უფრო მეტი მკრეხელობა შეუძლებელია წარმოიდგინო, მაშინ, როცა ქვეყნის მართვის უმაღლეს საფეხურზე მყოფი ადამიანები ასე მსჯელობენ.

ამ ერთი თვის წინათ, თბილისში, ღამის კლუბების მხარდასაჭერ სიტყვებში გამომსვლელების დედააზრი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს – ჩვენ, ახალგაზრდები, თავისუფალ მოქალაქეებად დავიბადეთ და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ და როგორც გვინდა, ისე ვიცხოვრებთ. ჩემი თავი და სიცოცხლე მე მეკუთვნის, თუ მინდა, ნარკოტიკს მოვწევ და თუ მინდა, ჰომოსექსუალებს დავუმეგობრდები, ჩემს სიცოცხლეს როგორც მინდა ისე მოვიხმარო და ა.შ.

ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ **ამ ქვეყანაზე ნებისმიერის სიცოცხლე ღმერთსა და სამშობლოს ეკუთვნის და მისი ერთგული შვილი უნდა იყოს, მის სამსახურს უნდა შეალიოს საკუთარი სიცოცხლე**.

თავისუფლება არ ნიშნავს, თავგასულობას და არც დემოკრატია უნდა გადავზარდოთ დემაგოგიაში. სამწუხაროდ, ამ ჭეშმარიტებას ადამიანები ივიწყებენ და ხშირად, როგორც იტყვიან, „მოუკრეფავში“ გადადიან, **მათთვის სამშობლო, დედაეკლესია, ზნეობა, სულიერება, წარსულის ტრადიციები და უფროს-უმცროსობა დევალვირებულია. ნამდვილ ინტელიგენციას, საზოგადოების მოაზროვნე და გულშემატკივარ პიროვნებებს სამშობლოს მოღალატის, გამყიდველის, ჩარეცხილის, რუსეთის აგენტის, უნიათოს სახელს არქმევენ. ბრბოს ინსტინქტი მძლავრობს და სამშობლოს საკეთილდღეო საქმეებისთვის კი არაა შემართული, არამედ ხელისუფლებაში მოსასვლელად იბრძვის**.

არ ვიცი, რა სახელი მოვუძებნო „გირჩის“ ხელმძღვანელის ზურაბ ჯაფარიძის ქმედებას, რომელმაც კონსტიტუციურ სასამართლოში სარჩელი შეიტანა პარლამენტის წინააღმდეგ, გინდათ თუ არა მარიხუანას ლეგალიზაცია და დეკრიმინალიზაცია დააკანონეთ და ადამიანებს თავისუფლება მიანიჭეთ, როგორც უნდა ისე მოიქცნენო. ელიტურმა მოსამართლეთა კორპუსმა ჯაფარიძეს მხარი დაუჭირა და დაადგინა, მარიხუანა „უმტკივნეულოა“ და რამდენიც გინდათ, მოწიეთო. არადა, მედიცინის მუშაკები, ექსპერტები და სწავლული ადამიანები ხმამაღლა ამბობენ, მარიხუანა ჩვეულებრივი ნარკოტიკიაო.

მოდით ახლა და თქვენ განსაჯეთ ძვირფასო მკითხველო „გირჩის“ მეთაური, რომელმაც სამი უმაღლესი დაამთავრა და ინტელექტუალია, შეიძლება, ჩაითვალოს ინტელიგენტად? იგი ჩვეულებრივი მედროვეა და იმის ცდაშია, როგორმე არჩევნებში 300 000 ნარკომანმა მხარი დაუჭიროს და ხელისუფლებაში მოვიდეს ან პარლამენტში დეპუტატის მანდატი მოიპოვოს, რა სიკეთეს მოუტანს ასეთი სახელმწიფო მოღვაწე ქვეყანას? ალბათ, არანაირს. **ასეთი პიროვნებისთვის საქართველოს სიყვარული, მომავალი და განვითარება, ანუ პატრიოტიზმი ფუჭი სიტყვებია. ასეთებს არ უნდა დავუჯეროთ**.

წერილის დასაწყისში აღვნიშნე, თანდათანობით ქართველები კარგავენ სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტულ სულისკვეთებას, უფრო მეტიც, არ უფრთხილდებიან სამშობლოს ღირსებას, მის სახელს, რომლითაც ასე ვამაყობდით ათეული წლების წინათ.

ვიცი, კვლავ მომთხოვთ კონკრეტულ მაგალითებს.

ასეულობით ქართველი საზღვარგარეთის ქვეყნებში გადაიხვეწა სამუშაოს საძებნელად, ლუკმაპურის საშოვნელად, ოჯახების, შვილების გადასარჩენად. ძნელია უცხო ქვეყანაში ცხოვრების აწყობა, დამკვიდრება. გახსოვთ, „დათა თუთაშხიაში“ მამა რომ შვილებს ესაუბრება – შენს ქვეყანაში შენი ოჯახის ღირსეული დამცველი უნდა იყო, ხოლო სხვა ქვეყანაში შენი სამშობლოს დესპანობა გევალებაო.

იხ. 6 გვ.

რუსეთ-საქართველოს საზღვარზე საცობებია

რუსეთის ტურიზმის ფედერალური სააგენტო ტურისტებს აფრთხილებს, რომ რუსეთსა და საქართველოს საზღვრის ლარსის გამშვებ პუნქტზე სერიოზული საცობებია. უწყება მგზავრებს ურჩევს გაითვალისწინონ, რომ მათ ავტოტრანსპორტით მგზავრობისას, საზღვრის გადაკვეთა დროში შეაფერხებთ. საზღვარზე ავტომობილების რიგი 6 კილომეტრზე მეტია და მგზავრებს 12 საათზე მეტი ლოდინი უხდებათ.



◎ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე

„მომღიმარი“ ჩონჩხები კანდიდატთა ზურგს უკან...

წინამდებარე მსჯელობა მთლიანად ამოდის ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან, რადგან ავტორმა უკეთეს თავშესაფარს, ვიდრე ქრისტიანობაა, ვერ მიაკვლია. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის არჩევნების წინ საუბარი მომიხდება პოლიტიკაზე, ვინაიდან პრეზიდენტის არჩევა პოლიტიკური აქტი გახლავთ. და აი, იჭრება მთავარი სიძნელე ქრისტიანისათვის, რადგან ქვეყანა პირველცოდვის მერე დაწყევლილია და რომ არა ქრისტეს მოსვლა, იგი განადგურდებოდა და მოისპობოდა. მიუხედავად ამისა, ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, სანამ იგი საბოლოოდ განსჯის ბოროტსა და წმინდას, „მთელი ქვეყანა ბოროტებაშია დანთქმული“ (პირველი იოანესი, თ. ნ, 19). აქედან გამომდინარე, პოლიტიკაც ბოროტებასთანაა წილნაყარი.

აქ, ძალაუნებურად, მახსენდება ნეტარი ავგუსტინე (354-430 წწ.), რომელიც არა მხოლოდ დიდი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსია, არამედ ქრისტიანული ისტორიის ფილოსოფიის მამამთავარიც. მისი მთავარი ნაწარმოები ამ თემაზე გახლავთ „ღვთის ქალაქის შესახებ“ (ვსარგებლობ გერმანული თარგმანით, მიუნხენი, 1991 წ.). პირველი ნაწილის 35-ე თავში იგი პირდაპირ ამტკიცებს, რომ ღვთის ქალაქი და ამქვეყნიური ბოროტების სამეფო ისე არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვული და ერთმანეთში არეული სამყაროს ამჟამინდელ დროში, რომ მათი ერთმანეთისგან დაშორება მხოლოდ უკანასკნელ სამსჯავროზე მოხდება.

ახლა მოვუსმინოთ მე-19 საუკუნის რუს ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს **კონსტანტინ ლეონტიევს,** რომელსაც დიდი რუსი ფილოსოფოსი ვლადიმირ სოლოვიოვი შემდეგნაირად ახასიათებდა: „ბიზანტიურ-ასკეტური რელიგიური იდეალის გულწრფელი მომხრე, ათონელი მორჩილი და ოპტინელი ბერი“.

კონსტანტინ ლეონტიევი წერს:

„სიყვარულისა და საყოველთაო ჭეშმარიტების სრულ და ყველგან ზეიმს კი არ გვპირდებიან ამ დედამიწაზე ქრისტე და მისი მოციქულები; არამედ, პირიქით, სახარებისეული ქადაგების რაღაც მოჩვენებით წარუმატებლობას, რადგან დასასრულის სიახლოვე უნდა დაემთხვეს ბოლო ცდებს, ყველა გახადონ კარგი ქრისტიანი... ქრისტე ქადაგებდა არა საყოველთაო ჰარმონიას (საყოველთაო მშვიდობას), არამედ საყოველთაო განადგურებას... ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია, ზუსტად ერთი, უეჭველად მხოლოდ ერთი – ეს არის ის, რომ ყოველივე ამქვეყნიური უნდა დაიღუპოს!“

ახლა მივმართოთ უკვე მე-20 საუკუნის გამოჩენილ სოციოლოგსა და ფილოსოფოსს **მაქს ვებერს,** რომლის სახელი დიდი პატივითაა შესული ბიოგრაფიულ ლექსიკონში „მე-20 საუკუნის დიდი ფილოსოფოსები“ (მიუნხენი, 1999 წ.). მასზე დაწერილი სტატიის ავტორი მაქს ვებერს დიდ დამსახურებად უთვლის, რომ მან მოახდინა „მოჯადოებული სამყაროს ჯადოსგან გათავისუფლება მეცნიერების მეშვეობით“. და აი ეს, ცივი გონების მეცნიერი, როდესაც პოლიტიკას განმარტავს, იძულებულია განაცხადოს: **„ძველმა ქრისტიანებმა ძალზე ზუსტად იცოდნენ, რომ სამყაროს დემონები განკარგავენ და რომ ვინც პოლიტიკას, მაშასადამე, ძალასა და ძალმომრეობას, როგორც საშუალებას, უკავშირდება, ხელშეკრულებას დებს სატანურ ძალებთან („პოლიტიკა, როგორც პროფესია“).**

ამ პატარა შესავლით მსურდა, მკითხველის ყურადღება, გამემახვილებინა იმ ფაქტზე, რომ დღესდღეობით მსოფლიოს ლიდერებს შორის (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის) არ არსებობს პიროვნება, რომელიც არათუ აღფრთოვანებას, არამედ მოწიწებას იწვევდეს. სხვა გახლდათ მეფის ან იმპერატორის კურთხევის აქტი, რომელიც ეკლესიაში საათობით გრძელდებოდა და ემორჩილებოდა ე. წ. რელიგიური გამოცდილების ფენომენს.

> ოცდაათწლიანმა „დამოუკიდებლობამ“ ჩვენი ყოფის მთელი ტრაგიზმი წარმოაჩინა. დიდ ცოდვებში საქართველოს აბსოლუტურად ყველა პრეზიდენტი იყო მხილებული, რაც განსაზღვრავდა ქვეყანაში ტრაგიკულ ვითარებას. ბევრი საუბრობს გარეშე ფაქტორებზე, ე. ი. ჩვენი მეზობლების ფარულ და აგრესიულ ჩარევებზე ჩვენს საშინაო პოლიტიკაში, რაც ნაწილობრივ სწორია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. ძირითადი მაინც ქვეყნის მთავარი პირია, პრეზიდენტი, რომელიც ყოველივეს ალღოს უნდა უღებდეს და არა თავად იყოს დამნაშავე და ქვეყანაში შფოთის შემომტანი.

ყველა პრეზიდენტის დანაშაულებრივი სახის გამოაშკარავება და ამაზე საზოგადოების ყურადღების გამახვილება ვცადე ჩემს წიგნში „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“, რომელიც გამოიცა თბილისში 2006 წელს, ჩემი ხარჯით, სულ 300 ცალი. მართალი მოგახსენოთ, ამაზე მეტის გაკეთება არ შემეძლო.

რაც შეეხება მეოთხე პრეზიდენტს, ის კომიკური ფიგურაა, მაგრამ, ჰოფმანის გმირის არ იყოს, ბოროტებასთან წილნაყარი. მის მხილებას პრესაში არაერთი წერილი მივუძღვენი. დღეს ბევრი ამხელს მას. და აი, ახლა კვლავ პრეზიდენტს ვირჩევთ. სიტუაცია ისეთია, როგორც ამას აღწერს ავსტრიელი ფილოსოფოსი **ოტმარ შპანი** (გარდაიცვალა 1950 წელს) თავის „ისტორიის ფილოსოფიაში“ (გრაცი, 1970 წ.): **„თუკი წინააღმდეგობები არ შეიძლება იყვნენ მთლიანად დაძლეულნი, მაშინ ჯერი დგება ტრაგიკულისა“.**

რაღაც შემაზრზენი ხდება დღევანდელი პრეზიდენტის არჩევნებისას საქართველოში. თითოეული კანდიდატის ზურგს უკან „მომღიმარი“ ჩონჩხის ძვლების ტკაცუნი გვესმის, განსაკუთრებით – დამნაშავე პარტიების, ე. წ. „ნაციონალებისა“ და „ევროპული საქართველოს“ რიგებში, რომელთა სულიერი მამა, სულიერად მახინჯი პრეზიდენტყოფილი, ამსტერდამიდან იძლევა ინსტრუქციებს.

რა გადაარჩენს საქართველოს, „გირჩის“ შიზოიდური თავკაცი თავისი საცოდავი „საკონსტიტუციო სასამართლოთი“?! არც საპარლამენტო უმრავლესობის უმეტესობას ვენდობი, რომ არაფერი ვთქვა წვრილ-წვრილ პარტიებზე, სადაც, როგორც ამას წინათ ვწერდი, მდაბიური უტიფრობის მოძალებაა. **ამისთანებისგან თვით საქართველოს სახელმწიფოსთვის თავდადება – პირწავარდნილი კერპთაყვანისმცემლობაა.** მაგრამ ასეთი ვითარება მარტო ჩვენში არ სუფევს.

აი, რას წერს გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი დიტრიხ ფონ ჰილდებრანდი თავის „ეთიკაში“ (რავენსბურგი-შტუტგარტი, 1973 წ.) სახელმწიფოს კერპად ქცევაზე:

„კერპთაყვანისმცემელს სწამს თავისი კერპის დიდებულებისა. მაგრამ სინამდვილეში ეს იდეალი მას იმიტომ იზიდავს, რომ მისთვის მოაქვს სიამაყისა და ვნების დაკმაყოფილება. მისი ღირებულებითი პასუხი სინამდვილეში მხოლოდ მოჩვენებითია. ის პრეტენზიას აცხადებს ჭეშმარიტებაზე და ჰეროიზმზე, ხოლო სინამდვილეში წარმოადგენს უწმინდურ ვნებას, რომელიც კვებავს სიამაყესა და ჟინიანობას“.

განსხვავებით დანარჩენი მსოფლიოსგან, ჩვენ დამატებით გვეძალება ჩვენი ბოროტი წარსული. ვგულისხმობ იმას, რასაც ამას წინათ ვწერდი გვიანდელი შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებულ სენზე – **საკუთარი ოჯახის წევრების გაყიდვა თურქებზე ქობულეთში და აგრეთვე იმას, რაც თავის პოემაში გადმოსცა დავით გურამიშვილმა: „ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!“**

ყოველივე ეს, გნებავთ სისხლში, გნებავთ ქვეცნობიერში, მაინც გადმოგვეცა, მიუხედავად სულიერი მამების ლოცვისა.

> ეს წერილი ძალზე პესიმისტურად რომ არ დავამთავრო, მინდა, განვაცხადო ამა ქვეყნის ძლიერთა საყურადღებოდ: მყავს პრეზიდენტობის ჩემი კანდიდატი, პატიოსანი, თვალსაჩინო მეცნიერი, ცხოვრებისეული გამოცდილების მძონე, რომელსაც ახალგაზრდა ვაჟიშვილი არც თუ დიდი ხნის წინათ დანით მოუკლეს და ამ მხრივ სამართლიანობის დადგენას დღემდე ვერ ეღირსა. ცხადია, ბნელი სააკაშვილებისთვის მას არ მიუმართავს ქვეყანაში არეულობის მოსაწყობად.

ვიქტორ რცხილაძე

ტაში, ტაში! თუ ვაი, ვაი?!

ნეტა ბევრი თუ აცნობიერებს, რამდენ მთავარ ევროპულ ღირებულებას ვფლობთ და რამდენი მონაპოვარი გვაქვს ამ ფასეულობების დამსახურებით! მართალია, ამ მონაპოვრებს შეეწირა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, მოსახლეობა 5 მილიონიდან 3 მილიონამდე შემცირდა, გვაქვს მძიმე სოციალური ფონი და ასე შემდეგ, მაგრამ „ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია“?!

სამაგიეროდ, დღეს ჩვენთან ყველას – სქესის, ასაკისა და ეროვნების მიუხედავად, უფლება აქვს, ავნოს თავის თავს და ამაში ხელს მათ ვერავინ შეუშლის! ჰოდა, საცობ- მოსასმენებით ყურებდახშული ჩვენი ახალგაზრდობა ავნებს და ავნებს თავს, სანამ არ მოსწყინდებათ! ეს მთავარი ევროპული ღირებულებაა, რომელიც ჩვენთან ყველაზე დიდი წარმატებით დამკვიდრდა და დაგვირგვინდა. გვიხაროდეს! გაუმარჯოს თაობათა შორის წყვეტით გათავისულებულ ახალგაზრდა თაობას! ტაში, ტაში! აბა, ილიამ რა იცოდა, რომ აწმყო შობილი წარსულისაგან, თურმე, სულაც არ ყოფილა მშობელი მომავალისა! ამ სწორუპოვარ წყვეტას ნამდვილად ეკუთვნის კიდევ დიდი ტაში!

მეორე მონაპოვარიც გვაქვს – თუ დასავლეთში რომის პაპს ებრძვიან, არც ჩვენთან ჩამორჩნენ და უწმინდესის ყველა სიტყვას აკრიტიკებენ, „ციანიდის საქმეს“ თუ გავიხსენებთ, ებრძვიან კი არა, ამ მიმართულებით დასავლეთსაც წინ უსწრებენ! არაა ეს, ბატონებო, პატარა მონაპოვარი, არა! აქაც ტაში!

ღმერთი სამობითაა და ამ ყველაფრის საზღაურად მესამე მონაპოვარიც გვაქვს – მოსახლეობის 25% მაღალი, ევროპული სტანდარტებით ცხოვრობს, დანარჩენები კი განვიცდით წნეხსა და დიქტატურას, მაგრამ მერე რა... აბა, ყველასთვის ხომ არ იქნება ეს წუთისოფელი? ამას ვინც მიხვდა, მასაც დიდი ტაში!

მეოთხე სახარება შეგვეწიოს და მეოთხე დიდი მონაპოვარიც გვაქვს – ქვეყანა აგვევსო ათასი რჯულის უცხოელი ტურისტით. ისე, ბევრს უკვე ტურისტებსაც ვეღარ ვუწოდებთ, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები გახდნენ. თვალსაც უხარია მათი დანახვა და „ჯიბეს“. დიახ, ამ ტურისტების დამსახურებით, ჩვენთან უკვე ბევრ პროდუქტზე, ბინებსა თუ დასასვენებელ სერვისზე ფასები ევროპულსაც კი წინ უსწრებს. ესეც ხომ უნდა გვიხაროდეს!.. ვუყუროთ შორიდან თურმე უცხოელებისთვის აშენებულ ევროპულ საქართველოს, სტუმართმოყვარე ხალხი არ ვართ? მართალია, ბევრი ნერწყვის ყლაპვა გვიწევს, მაგრამ დამერწმუნეთ, ზოგჯერ ერთ-ორ ლუკმასაც და ხურდასაც გადმოგვიგდებენ! აბა, არა?! მთავარია, აქაც ვუსწრებდეთ ევროპას! ამ მიღწევასაც აუცილებლად ტაში და ტაში!

სასამართლო სისტემას არ იკითხავთ, ასეთი „სამართლიანი გადაწყვეტილებების“ მიღებას იმ ავადხსენებულ საბჭოთა კავშირის დროსაც ვერ ახერხებდნენ... ისეთი რეზოლუციები და მუხლები გვაქვს კანონმდებლობაში, შავს თეთრად რომ წარმოგვიდგენს და თეთრს – შავად, ესაა „გონიერება“, თორემ თეთრზე თეთრის და შავზე შავის თქმას რა უნდა! მე მგონი, აქაც ვუსწრებთ ევროპას. ვიცი, რასაც ვამბობ... ამ კანონმდებლობის შემოქმედებსაც ნამდვილად ეკუთვნით ტაში, ტაში!

არა, არა, მათ ამ ტაშს ვერ ვაკმარებ, უსამართლობა იქნება თავიანთ „სამართლიანობას“ საკუთარ ტყავზე თუ არ გამოსცდიან და ამ გზით „გონივრულად“ არ „გაბედნიერდებიან“!

ოჰ, ამერია სათვალავი, შემოსავლების სამსახურის დავიწყება შეიძლებოდა ამ მონაპოვრებში! ისეთი განსწავლულები და პროფესიონალები არიან, ძველ რეკეტიორებსაც შეშურდება მათი სიყოჩაღე! წესით, მათი წყალობით, არ უნდა უჭირდეს ამ ახალ საქართველოს, თუ თავიანთ განსწავლულობას მხოლოდ დაბალ ღობესთან არ ამუშავებენ! მათაც ისეთი რა დააშავეს, ტაში, ტაში!

ხოლო, ვისაც ეს ყველაფერი არ მოსწონს, მათ თურმე საბჭოთა ქვეყანაში დაბრუნება სურთ? რა გასაკვირია, არა? იქ ხომ არც ერთი აქ დასახელებული მონაპოვარი არ გვქონდა. რა გაუმაძღარია ეს ხალხი, რა გაუმაძღარი!

> ისე მაინც, რა განსხვავებულები ვართ ეს ქართველები! თუ დასავლეთში ღმერთს, რომის პაპს და ეროვნულ იდენტობას თავისუფლების სახელით ებრძვიან, ჩვენ ეს ძვირადღირებული თავისუფლება, საბჭოთა კავშირის დროს, „ჩვენთან არს ღმერთი!“ და „გაუმარჯოს ეროვნულ, დამოუკიდებელ საქართველოს!“ ძახილით მოვიპოვეთ! მართალია, ბოლოს დანაწევრებულ საქართველოში აღმოვჩნდით, მაგრამ რა, ამასაც ტაში, ტაში? თუ... ვაი, ვაი?!

ია საკანდელიძე,
574 14 24 57

C ჰეპატიტის მკურნალობა ბოლო წლების მედიცინის დიდ გარღვევად ითვლება

ქვეყანაში 80 ათასი ადამიანია C ჰეპატიტით ინფიცირებული და ამის შესახებ არაფერი იცის. ამიტომ 2020 წლამდე უნდა გამოვლინდეს ყველა ის, ვისაც C ჰეპატიტის ვირუსი აქვს და არ იცის.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პაატა იმნაძე აცხადებს, რომ ეს ვირუსი შეიძლება, ატარო და მერე მოულოდნელად გაგიჩნდეს ციროზი და ღვიძლის კიბო. ამიტომ აუცილებელია, ადამიანებმა სკრინინგის პროგრამა გაიარონ.

„ამ ვირუსის მორჩენა პრობლემა აღარაა. ვინც იცოდა მის შესახებ, ყველა განიკურნა“, – გვაიმედებენ მედიკოსები.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების ქვეყნად ითვლება. რა განაპირობებს ასეთ რისკიანობას, ამის შესახებ For.ge მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს უნივერსიტეტის სრულ პროფესორს ოთარ თოიძეს ესაუბრა.

– რატომ ითვლება საქართველო C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების კერად და რამდენად საგანგაშოა ის ფაქტი, რომ შეიძლება 80 ათას ჩვენს მოქალაქეს აღმოაჩნდეს C ჰეპატიტი?

– არსებობს დაავადებები, რომლებიც ორგანიზმში ისე მიმდინარეობს, რომ ადამიანმა მათ შესახებ არაფერი იცის. ამ შემთხვევაში C ჰეპატიტს ვგულისხმობ. მაგალითად, არის ნევროლოგიური დაავადება – ეპილეფსია, როდესაც ადამიანს შეტევები აქვს და გარკვეულმა პროცენტმა ამის შესახებ შეიძლება არც კი იცოდეს, ან სულაც სხვა დაავადება ჰქონდეს და ეგონოს, რომ ეპილეფსია აქვს. ასე რომ, თუ შესაბამის კვლევას არ ჩაიტარებენ, ცალკეული დაავადებები მიმდინარეობს ფარულად და ერთ დღესაც იფეთქებს კლინიკური გაშლილი სურათი. ეს მედიცინაში ცნობილი ფაქტია. ისიც ცნობილია, რომ ინფიცირებიდან გადის გარკვეული პერიოდი, ერთი, ორი, ზოგჯერ სამი კვირაც და ამის შემდეგ იწყება გამონაყარი, სიცხე. ამას ჰქვია დაავადების ლატენტური პერიოდი.

– ეს ციფრი, 80 ათასი როგორ გამოთვალეს?

– ძალიან მარტივია ამის დათვლა. თუ 1000 ადამიანს ჩავუტარებთ გამოკვლევებს და ვნახავთ, რომ 1000-დან ერთს აქვს კონკრეტული დაავადება და დანარჩენს არა აქვს, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს დაავადება მილიონი კაციდან 100 კაცს ექნება. ეს სამედიცინო სტატისტიკის მეთოდითაა დამუშავებული და დიდი სიზუსტით ასახავს ქვეყანაში ამა თუ იმ დაავადების გავრცელების მაჩვენებელს, თუკი წინასწარ შერჩევითი ჯგუფი სწორად იქნება შერჩეული. ახლა ძალიან მოდაშია „ენ-დი-აი“-ს გამოკვლევები, იმის მიუხედავად, სარწმუნოა თუ არასარწმუნოა მისი კვლევა, ისინი ყველა ადამიანს არ ეკითხებიან აზრს, არამედ ეკითხებიან შერჩევით ჯგუფს, სხვადასხვა ასაკის, პროფესიის ადამიანებს, ეკითხებიან სხვადასხვა ადგილებში და დროის განსხვავებულ პერიოდში. აქედან საშუალო მაჩვენებელი გამოჰყავთ. ასევე გამოიყვანება დაავადების საშუალო მაჩვენებელიც. ჩვენი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი საკმაოდ მაღალკვალიფიციურია ეპიდემიოლოგიურ კვლევებში და უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, ამის გამოცდილება აქვთ. მით უმეტეს, ეს პროექტები ხორციელდება უცხოელ კოლეგებთან ერთად.

– თუკი სხვა ქვეყნებში არ არის ამ დაავადების ასეთი მაღალი მაჩვენებელი, მაშინ პრობლემა ჩვენს მოსახლეობაშია?

– ზოგადად, ეს კულტურის მაჩვენებელია. არაფერს ვამბობ უბრალო ხელის დაბანასა და ელემენტარულ რამეებზე. ჩვენს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში განათლების დონე დაბალია.

– გულისხმობთ იმას, რომ თავის დროზე არ მივდივართ ექიმთან?

– თუნდაც! თავის დროზე ექიმთან მისვლა ჯანდაცვითი კატეგორია და, ამავე დროს, კულტურის ელემენტია. ეს თუ იცის ადამიანმა და არ მიდის ექიმთან, ეს ნაწილობრივ დანაშაულია, თუ არ იცის და არც მიდის, მაშინ ეს ექიმებისა და სახელმწიფოს დანაშაულია, რადგან ბავშვებს არასწორად ვზრდით. სკოლის რამდენმა მოსწავლემ იცის, რომ უნდა გაიხეხოს კბილები? ვინმე ამას ასწავლის? ჩვენს დროს კვირაში სამჯერ შემოდიოდნენ სკოლებში, გვიმოწმებდნენ ყურებს, თმებს, მხედველობას და მარტო ამით არ შემოიფარგლებოდნენ. ახლა ეს ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ კულტურაც დაიკარგა. შედარებით კარგად იცის ხალხმა შიდსთან დაკავშირებული ძალიან სახიფათო საკითხები, ასევე, უკეთ იციან C ჰეპატიტის შესახებ, რადგან ტელევიზიით ლაპარაკობენ ამაზე, მაგრამ სრულიად არაფერი არ ვიცით სხვადასხვა მდგომარეობის შესახებ, საზოგადოებაში არის ცალკეული დაავადებები, მაგრამ არაფერი ვიცით მათ შესახებ.

– C ჰეპატიტს თუ აქვს რაიმე სიმპტომი, რომ ადამიანი მიხვდეს, სჭირს თუ არა ეს დაავადება?

– რამდენადაც ვიცი, არ არის ასეთი სიმპტომი. ვინაიდან ჰეპატიტი ღვიძლის ანთებაა, მას ახასიათებს მადის დაქვეითება, გახდომა, შესაძლებელია, მცირე ტკივილიც ახლდეს. ეს ისეთი არასპეციფიკური სიმპტომებია, რომ სხვა დაავადებებსაც ახასიათებს.

– ბოლო პერიოდში აჟიოტაჟი გამოიწვია თურქეთის კლინიკაში მომუშავე პირის მოსაზრებამ, თითქოს საქართველოში განხორციელებული C ჰეპატიტის პროგრამის ბენეფიციარებს მკურნალობის შემდეგ სიმსივნე უვითარდებათ, რაც ჩვენმა ჯანდაცვის სამინისტრომ კატეგორიულად უარყო. საუბარია მედიკამენტებზე – ჰარვონსა და სოფოსბუვირზე, რომლებიც საქართველოს გარდა მთელ მსოფლიოში გამოიყენება.

– ეს განცხადება აბსურდად მეჩვენება. ისეთი წამალი, რომელიც სპობს ინფექციას და აჩენს სიმსივნეს, არ მეგულება. მე არ ვიცი, ეს წამლები სადაურია და რომელ ქვეყანაშია დარეგისტრირებული. თუ ეს მედიკამენტები მთელ მსოფლიოში გამოიყენება და ამერიკისა და ინგლისის წამლის სააგენტოების მიერ არის ნებადართული, ასეთ შემთხვევაში, უსაფრთხო უნდა იყოს. განა სიმსივნეს სიგარეტი არ იწვევს? სხვა დროსაც ყოფილა ასეთი შემთხვევები, მახსოვს, იყო გარკვეული წამლები აპრობაციაში და, როგორც წესი, ასეთი კონტრშეხედულებები გამიზნულად ვრცელდებოდა ხოლმე – კურდღლებად გიყენებენ, რაღაცას ცდიან თქვენზე, მავნეა, იმ ქვეყანაში ვერ გაიყიდა კონკრეტული წამალი, ამიტომ ჩვენთან ასაღებენო. ეს ჩვეულებრივი ზღაპრებია. ამიტომაც არსებობს ჯანდაცვის სამინისტრო, რომ ამას მკაცრად მიაქციოს ყურადღება. ჯანდაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია მედიკამენტებზე და სათუო წამლებს არ აიღებს თავის თავზე. ეს შეუძლებელია.

– C ჰეპატიტის მკურნალობა ბოლო წლების მედიცინის დიდ გარღვევად ითვლება, მართლაც წარმატებით იკურნება ეს დაავადება?

– ეს მსოფლიოში უნიკალური მოვლენაა და ამიტომ ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ექსპერიმენტი ტარდება საქართველოზე. ის, რომ საქართველოს ეხმარებიან ამ დაავადების ელიმინაციაში, მათთვისაც სახელია, რადგან პირველი ქვეყანა ვიქნებით, სადაც ეს დაავადება სრულიად აღმოიფხვრება, თუ ასეთი მავნებლური განცხადებები არ გავრცელდება. კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, საშვილოსნოს ყელის კიბოს აცრა რომ უტარდებოდათ გოგონებს, სანამ ისინი ქალიშვილები 12-13 წლამდე იყვნენ, ისინი მთელი ცხოვრება დაზღვეულნი იყვნენ გენიტალური მიდამოს ორგანოს სიმსივნის განვითარებისგან. თუმცა ასეთმა კონტრპროპაგანდამ ჩააგდო ეს პროექტი და ის გოგონები, რომლებმაც არ აიცრეს, დარჩნენ სიმსივნის განვითარების რისკის ქვეშ. მაშინაც უფასო პროგრამა იყო, ციტომეგალოვირუსის საწინააღმდეგო თითოეული აცრა ფანტასტიკური თანხა ჯდებოდა, მაგრამ მაშინდელმა პრესამ (ვისი დაკვეთით, არ ვიცი) შეძლო ის, რომ დაახლოებით 6 წლის წინათ ის პროგრამა ჩავარდა საქართველოში. მაშინაც გავრცელდა, რომ ეს მავნეა, თორემ მედიკამენტებს უფასოდ რატომ მოგვცემენო.

მანანა ნოზაძე

55 მილიონი ლარი ნაპირდაცვითი სამუშაოებისთვის

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ბათუმში ნაპირდაცვის სამუშაოებს ახორციელებს. პროექტი აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება 55 მილიონ ლარს სცდება.

მიმდინარე სამუშაოები აჭარის ავტონომიური მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი შენგელიამ დაათვალიერეს.

„სამუშაოები მიმდინარე პროცესშია. პროექტში ჩართულები არიან საერთაშორისო კონტრაქტორები. შესაბამისად, ხარისხიც არის მაღალი და იმედი გვაქვს, რომ დათქმულ ვადებში მოხდება აღნიშნული პროექტის დასრულება, რაც ერთი მხრივ, მოაწესრიგებს აღნიშნული ზოლის ინფრასტრუქტურას და ასევე ახალ შესაძლებლობებს შექმნის ახალი ბულვარის განვითარებისთვის“ – აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

ბათუმის ნაპირდაცვის პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით 2 კმ ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობას, სანაპირო ზოლის აღდგენას და დაზიანებული ბულვარის სრულ რეაბილიტაციას. ბულვარის აღდგენილ სანაპიროსთან დაკავშირების მიზნით, მოეწყობა 12 საფეხმავლო ხიდი, რომლის სიგრძე 20 მეტრი იქნება, ხოლო სიგანე – 1,5 მეტრი. ბათუმში ნაპირდაცვის სამუშაოები 2019 წლის ბოლოს დასრულდება.

განახლდა შუახევი-ჩირუხის გზა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე რეგიონის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების გაცნობას აგრძელებს.

თორნიკე რიჟვაძემ რეაბილიტირებული შუახევი-ჩირუხის გზა დაათვალიერა. ჩირუხის მიმართულებით 6 კმ-იან მონაკვეთზე ორფენიანი ასფალტო-ბეტონის საფარი დაიგო. განხორციელებული სამუშაოები და მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილი პროექტები რეგიონის ხელმძღვანელს აჭარის ა/რ საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა რაულ ბერიძემ გააცნო.

შუახევი ჩირუხის გზის 6 კმ-იან მონაკვეთზე მთელ სიგრძეზე ჩაიწყო ლითონის მილები, გაკეთდა ახალი გაბიონები და ბეტონის საყრდენი კედლები.

აჭარის ა/რ საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2018 წლის ბიუჯეტით შუახევის მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულია 9,880 კმ ა/ბეტონის საფარის მოწყობა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5 377 340 ლარი გამოიყო. მიმდინარე წელს, ასევე, 2 ახალი ხიდის და 37 ერთეული ხელოვნური ნაგებობის მოწყობაა დაგეგმილი.

სულ შუახევის მუნიციპალიტეტში 2018 წელს საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილია 11 082 320 მილიონ ლარამდე.



აგვისტოს ომით შეძრული მხატვარი

ცნობილმა მხატვარმა და მწერალმა, ბატონმა **რეზო (მელიანე) ადამიამ** აგვისტოს ომის ათი წლისთავზე რედაქციაში სურათების სერია მოგვიტანა, რომელიც 2008 წლის ომის დამთავრების შემდეგაა დახატული. ულამაზეს ფერთა გამას, მხატვრისთვის ჩვეულ მისტიკურ-რეალურ-კოსმიურ სტილს თრგუნავს თვით რეალობა, რის საფუძველზეც ეს ნახატების სერიაა შექმნილი. თითოეული სურათი იმ უდიდესი ტკივილითაა განმსჭვალული, რომელიც საქართველოს მოუშუშებელ ჭრილობად აჩნია. მოკლე, გულისშემძვრელ და ლაკონურ სათაურს ვერ შეურჩევ ვერცერთ სურათს, სწორედ ამიტომაც აქვს ბატონი რეზოს თითოეულ ნახატს წამძღვარებული გრცელი სათაურები, რაც იმის დასტურიცაა, რომ 21-ე საუკუნეში ამგვარ ბარბაროსობას ერთი სიტყვით ვერ აღწერ.

რუსებმა ქალთა მონასტერიც არ დაინდეს და დაბომბეს.



რუსი ბარბაროსების მიერ საქართველოში დაბნელებული მზე

ბარბაროსი რუსეთის ავიაციამ დასავლეთ საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობას გამანადგურებელი ბომბები დაუშინა

რავა ყველაფერი გიკვირთ?!

„ბასიანის“ მოსკოვური „ვიზიტი“ გიკვირთ!

ომბუდსმენი რომ სქესის შეცვლის მომხრეა, გიკვირთ!

ერთკაციან ორას პარტიას პარტია რატომ ჰქვია, გიკვირთ!

ნაცები რატომ გულაობენ, გიკვირთ!

შალიკო-ბაქრაძე-ვაშაძეს და სხვებსაც რომ სერიოზულად უნდათ პრეზიდენტობა, გიკვირთ!

საქართველოში ყველაფერ „ევროპულის“ პროპაგანდას რომ რუსეთის გრუ ჩალიჩობს, გიკვირთ!

„გირჩის“ პარტიული სექტანტები რომ ჯარში წასვლაზე უარს ამბობენ, გიკვირთ!

ქვეყნის ყველა რესურსი რომ თურმე რუსეთის ხელში ყოფილა, გიკვირთ!

კოჰაბიტაცია გიკვირთ!

NATO-ს „ღია“ კარში რატომ ვერ შევდივართ, გიკვირთ!

ყველა მოთრეულს აქაურობა საკუთარი მიწა-წყალი რატომ ჰგონია, გიკვირთ!

ჩვენი შვილები რომ თორმეტი წელი სკოლაში დადიან და წერა-კითხვა არ იციან, გიკვირთ!

ღმერთის და ეკლესიის მაგინებლებს ქრისტიანებს გეძახიან და გიკვირთ!

ყველაფრით გაკვირვებულებს, ძაღლადაც რომ არავინ გვაგდებს შინ თუ გარეთ, ესეც კი გიკვირთ!

რავა ყველაფერი გიკვირთ?!

მერაბ ხაჩიძე

◎ ჩურჩულით ყვირილი

ქართველთა მამულიშვილობამ ჩაილულის წყალი დალია?!

(მესამე გვერდიდან) მრავალი ქართველი თავისი კეთილსინდისიერი შრომითა და ქცევით ნამდვილად ითვლება საქართველოს ღირსეულ პატრიოტად, სოციალური ქსელები სავსეა სამშობლოზე მონატრებული ადამიანების წერილებით, მაგრამ პატრიოტებს ვერ უწოდებ იმ ადამიანებს, რომლებმაც ქურდობა-მამაძაღლობით შეირცხვინეს თავი და შეარცხვინეს საქართველო, ევროპის ქვეყნების ციხეები სავსეა უღირსი ქართველებით. **ალბათ, ამიტომ წერდა ცნობილი ფილოსოფოსი კანტი – „ყველაზე დიდი უბედურება აღვირახსნილი თავისუფლებააო“. დიდი განმანათლებელი ვ. ბერკი წერდა: „ადამიანებს ზუსტად იმ ზომით აქვთ უფლება მოქალაქეობრივ თავისუფლებაზე, რამდენადაც მზად არიან, თავიანთ ლტოლვებს მორალის ბორკილები დაადონო“, ხოლო არისტოტელე ამბობდა – „ნებისმიერი საზოგადოებისათვის შესაბამისი განათლება უპირველესი ამოცანაა“.**

ახლახან დამთავრდა მსოფლიო პირველობა ფეხბურთში. ყველამ თვალნათლივ ვნახეთ, თუ როგორი პატრიოტული მუხტით თანაუგრძნობდნენ გულშემატკივრები თავიანთ სახელმწიფოს გუნდებს, როგორ ერთხმაში მღეროდნენ საყვარელი სამშობლოს ჰიმნს (ჩვენში კი ორსტროფიანი ჰიმნიც არ ვიცით ბოლომდე). ხორვატელმა ფეხბურთელებმა ნამდვილად გამოავლინეს სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი. თურმე ხორვატიაში უცხოელებზე მიწა არ იყიდება და ჩვენსავით მცირერიცხოვანი ერი ერთმუშტადაა შეკრული და სასწაულებს ახდენს ქვეყნის განვითარების ყველა სფეროში. ფეხბურთელებმა ჯილდოდ მიღებული მილიონები ღარიბ თანამემამულეებს დაურიგეს.

ჩვენთან როგორაა საქმე ამ კუთხით. ჩვენ მართლაც კურიოზების ქვეყანაში ვცხოვრობთ. ყველა სფეროში მოგვიმრავლდნენ ექსპერტები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, წინასწარმეტყველები, პოლიტიკოსები, ელგებეტეს მიმდევრები, გეები, ნარკომომხმარებლები და ა.შ. სამაგიეროდ, აღარ ჩანს ინტელიგენცია, ვისაც ნამდვილად მოეკითხება სამშობლოს სიყვარული და გონივრული რჩევა. თბილისი, ალბათ, მალე უცხოტომელთა ქალაქად გადაიქცევა, ქართველთა დემოგრაფიულ, კატასტროფულ ვითარებაზე ადრეც ვწერდი.

ამას წინათ სოციალურ ქსელში ამოვიკითხე **„მაჩვენეთ თუნდაც ერთი მინისტრი, დეპუტატი, პარტიული თუ საჯარო მუშაკი, რომელსაც თავისი ნიჭი, სიცოცხლე, უნარი ზვარაკად მიაქვს სამშობლოს სამსხვერპლოზე, თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს კეთილსინდისიერად, უარს ამბობს უზარმაზარ ხელფასებზე, კიდევ უფრო მეტ პრემიაზე, ვკითხავ, თუ იმყოფინებს 180 ლარს თვიდან თვემდე და თუ დადებით პასუხს გამცემს, ძეგლს დავუდგამ“.**

სამწუხაროდ, ქართველებს (უმრავლესობას) სამშობლო მხოლოდ სადღეგრძელოებში გვიყვარს. შეგახსენებთ, რას წერდა ვაჟა-ფშაველა **„ღმერთო, ქართველს ქართველი შეაყვარე და ორივეს – საქართველო“.**

მიმოიხედეთ და დარწმუნებით, 30 წელიწადში რამდენი რამ დავკარგეთ ტერიტორიებთან ერთად, ქვეყნის სიმდიდრე ჯართად გავიტანეთ თურქეთში. დღე არ გავა, საგანგაშო ცნობა არ შევიტყოთ მკვლელობის, ხანძრის, ავარიისა და სხვათა შესახებ. თვალი, ყური, გონება მიეჩვია ქვეყნის ნგრევის ფაქტებს და ეპიზოდებს. ახალი საქართველოს ასაშენებლად არაერთი ხელისუფლება გამოვცვალეთ, მაგრამ წინსვლა თითქმის არ იგრძნობა...

ჩვენ ის ერი ვართ, ვისაც უყვარს დიდი ხმაური, ჩვენ შეგვიძლია ხმამაღლა ვიმღეროთ – „სამშობლოს ვერვინ წაგვართმევს“, გახსოვთ გვმოძღვრავდნენ, თავისუფლები და დამოუკიდებლები ვიყოთ და „ბორჯომი“ და ჩაი გადაგვარჩენსო, არადა, სამშობლო დიდი ხანია, უკვე წართმეულია, „ბორჯომი“ უცხოელებზეა გაყიდული, ხოლო ჩაი თითქმის აღარ გვაქვს.

ქართველებს აღარ შეგვიძლია საქმე ვაკეთოთ პომპეზურობის გარეშე, ჩვენ გვიყვარს ჩურჩული ყვირილით, ეგებ ესეცაა ჩვენი დაცემისა და გადაგვარების ერთ-ერთი მიზეზთაგანი.

გახსოვთ, ილიას უკვდავი ლექსი – შეგონება **„ბედნიერი ერი“,** თუ დაგავიწყდათ კიდევ ერთხელ წაიკითხეთ!

ვალერიან ლომიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი
ქ. ბორჯომი

ასე ამბობდა ლეონარდო და ვინჩი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

ატმის ხე

ერთ-ერთ ბაღში თხილის ბუჩქის გვერდით შურიანი ატმის ხე იდგა.

— ვითომ შენ რატომ ისხამ მაგდენ ნაყოფს და მე არაო? — ებუზღუნებოდა ატმის ხე.

— სხვისი ნუ გშურს! — უთხრა ერთხელ იქვე ახლოისად მდგარმა ბებერმა ქლიავმა, — ვერა ხედავ, მაგას რა შეკრული ტანი აქვს და ტოტებსაც რა მოქნილად არხევს? მაგ შურსა და ბოლმას ის გირჩევნია, შენც კარგი წვნიანი ატმები მოისხაო.

გაგულისებულმა შურიანმა ატმის ხემ მაშინვე ჩასძახა ფესვებს, რაც შეიძლება ღრმად ჩადით და მეტი ნესტი შეიწოვეთ, ხოლო ტოტებს უბრძანა, უფრო მეტად გაიკვირტენითო. ხემ რომ დაიყვავილა, ფოთოლზე უმრავლესად ნაყოფი ესხა.

მალე დამწიფდა ატამი, ნაყოფით დახუნძლული ტოტები ზედმეტ სიმძიმეს ვეღარ უძლებდნენ და სულ ლაწალუწი აუტყდათ. ერთ დღეს კი თვითონ ხემაც ავად დაიკვნესა და გადატყდა. უშურველი თხილის ძირი სულ მწიფე ატმებით აივსო, მჭამელი არავინ არ იყო და მალე სულ ერთიანად დალპა.

ობობა და ჩიტი ნამგალა

ობობა იდგა და მთელი დღე ხეებს შუა თავის ვერცხლისფერ აბლაბუდას აბამდა, ნამგალა ჩიტი კი არ უსვენებდა. უცაბედად გაჰკრავდა ფრთას და გაუგლეჯდა წვალებით გაბმულ ქსელს, ერთხელაც ობობამ ვეღარ მოითმინა:

— რატომ მიშლი ხელს? განა მე გიშავებ რამესო?

— მე თუ არ მიშავებ, მწერთ ხომ უშავებო! — უპასუხა ყვითელმუცელა ნამგალამ, — მაგას შენ როგორ მეუბნებიო, — გაიკვირვა ობობამ. — ვითომ რითი მჯობიხარ? მთელი დღე ნისკარტგაღებული დაფრინავ და ერთ ბუჭყას არ უშვებ გადაუყლაპავსო, ახლა კი ვითომ იმათი დამცველი გამოდიხარო. შენ უფრო თავს იქცევ, ერთობი, მე კი რაც შემიძლია ვშრომობ, მაქმანის ქსელსა ვქსოვ და ამ კეთილის ყოფისთვის ჯილდოდ ნადედაზარდლევ-აბლაბუდაში გაბმულ ბუჭყას ვიმსახურებო.

ყველას თავისი სიმართლე აქვსო, ამაზეა ნათქვამი.

გულის სითბო

ორი ახალგაზრდა სირაქლემა დარდისგან აღარ იყო, ვერა და ვერ გამოჩეკეს წიწილები. დედა სირაქლემის სიმძიმე ეგრევე ამტვრევდა კვერცხებს.

იმედგადაწურულნი ბრძენის სახელით ცნობილ ერთ ბებერ დედალ სირაქლემასთან წავიდნენ, გვიშველე რამეო. ბებერმა, ბევრის მნახველმა სირაქლემამ, უსმინა, უსმინა და ბოლოს უთხრა:

— ეგ ადვილი საქმე არ გეგონოთ, სურვილისა და ცდის გარდა, კიდევ ერთი რამ არის საჭიროო.

— რა არის მაგისთანაო? — ერთად შეიყრიყინა ორივე სირაქლემამ.

— ყოველის უფრო მთავარი გულის სითბოა, მხოლოდ თქვენი გულების სითბოს შეუძლია კვერცხში სიცოცხლის ჩასახვაო.

ოდეს სირაქლემამ კვლავ დადო კვერცხი, აღარც დედალს და აღარც მამალს ღამე აღარ ეძინათ, სულ იმ კვერცხის ფერებასა და ზრუნვაში იყვნენ. საკუთარი თავი ნამდვილად აღარ ახსოვდათ, სამაგიეროდ, თავისტეხა და თავმდგომობა დაუფასდათ. ერთხელ კვერცხი უცებ გაიბზარა, მალე ნაჭუჭი გამოტეხა და კოკროჭინა სირაქლემას ბაჯუჯა თავიც გამოჩნდა.

სამართლიანობა

— არა, ამქვეყნად სიმართლე არ არის! — აგრე ფიქრობდა თაგვი, რომელიც ძლივს დაუძვრა თრითინის კლანჭებს, თვითონ თრითინამ რის ვაი-ვაგლახით შეასწრო ფუღუროში მადააშლილ ფისუნიას, ფისუნია კი წამისუმალ მაღალ მესერზე შეხტა აყეფებული ეზოს ნაგაზისგან თავზარდაცემული.

დიდად ჭკვიანმა ბუმ კი, გლეხის ეზოში გალიაში გამომწყვდეულმა, ჩვეულებისამებრ ისიბრძნა:

— ცხოვრების გამო თქვენს ჩივილში ნამდვილად არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ სამართალი ვითომ მარტო რომელიმე თქვენგანს ეკუთვნის? სამართლიანობა ბუნების უმაღლესი კანონია, რომლის მიხედვითაც დედამიწის სუყოველ სულდგმულს შორის გონივრული თანხმობა მყარდება. აგრე ცხოვრობს სუყოველი მხეცი თუ ნადირი, ფრინველი, თევზი და თვით მწერნიც კი. დაჰკვლიეთ, რა მეგობრულად ბინადრობს და ირჯება ფუტკრის ნაყარი, რომელსაც სამართლიანად აქვს განაწილებული თავიანთი უდანდარი, ანუ მრავალრიცხოვანი ოჯახის თითოეული წევრის მოვალეობანი. ზოგიერთი ფუტკრის ძირითადი საზრუნავია ყვავილებიდან ნექტრის შეგროვება. ზოგნი ფიჭებზე ზრუნავენ, ზოგნი იცავენ აბეზარ ბზიკთაგან და კრაზანათაგან, თან აკრიალებენ იქაურობას, ზოგ-ზოგთ დედა ფუტკრის მოვლა აბარიათ და სულ თავს ევლებიან. როცა ბერდება ეს ოჯახის მბრძანებელი დედა ფუტკარი, ყოვლის უფრო ძლიერ ფუტკრებს ფრთხილად გადაჰყავთ ერთი ადგილიდან მეორეზე, ხოლო მკურნალნი ნაირ-ნაირი შინაური წამლით მკურნალობენ. უკეთუ რომელიმე ფუტკარი თავის მოვალეობას არ შეასრულებს ან წააფუჩეჩებს, აუცილებლად მკაცრად დაისჯება.

ბუნებაში ყველაფერი ბრძნულად გათვლილია და თითოეულმა თავისი საქმე უნდა გულიანად მოახელკეთილოს და სწორედაც ამ სიბრძნეშია ცხოვრების უმაღლესი სამართლიანობა.

ალვის ხე

ერთხელაც ახალგაზრდა ალვის ხეს ვაზის სიყვარულმა ცეცხლი შეუნთო და იმანაც გადაწყვიტა, ცხოვრების მეგობრად გაეხადა ვაზი. ძმებმა ალვის ხეებმა ბევრი აფრთხილეს გამიჯნურებული ალვის ხე, ეგ თვალად ლამაზი ვაზი დიდი ცბიერი და ვერაგიაო, მაგრამ შეყვარებული ალვის ხე ჯიუტი იყო, თავწვერა, ყური არცვის არ ათხოვა და ვაზს ყველას გასაგონად უთხრა, რაც შეიძლება მაგრად ჩამეხუტეო.

რაკი მტკიცე საყრდენს მიენდო, ვაზმა გაიხარა და არცროდის რომ არა სხმია, იმდენი დაისხა, მტევნებს თვლა არა ჰქონდა, ამის დამნახველმა გამოცდილმა გლეხმა გაზაფხულზე ალვის ხე გადაბელა, რათა ტანაყრილს ვაზიც არ აემაღლარებინა, რაც გლეხს მოკრეფას გაუძნელებდა.

ერთ დროს ცად აჭრილი ალვის ხე დაიგვაჯა, ძველი ეშხი დაკარგა და ნამდვილ ჭიგოდ იქცა.

მაღლიერი შვილები

ბებერმა ოფოფებმა სიკვდილის მოახლოება იგრძნეს, ირგვლივ მხოლოდ მღვრიე ნისლს ხედავდნენ და ვეღარაფერს ვერ არჩევდნენ, რა რა იყო. ბუმბუღიც უკვე ხმელი ფიჩხივით ემტვრეოდათ. მოძრაობაც სულ უჭირდათ. ძალგამოცლილთ რა უნდა ექნათ, თავიანთსავე ძველ ბუდეში სიკვდილი გადაწყვიტეს.

მოულოდნელად საიდანღაც შვილები მოფრინდნენ, მოიხილეს რა დღეშიც ჰყავდათ დედ-მამა და მაშინ ერთ-ერთმა თქვა:

— ჩვენთა მშობელთაგან უდიდესი და ფასდაუდებელი რამ განძი გვერგო — სიცოცხლე. დაგვზარდეს, დაგვაფრთიანეს, მთელ ძალას ჩვენ გვახმარდნენ, სიყვარულს არ გვაკლებდნენ და ახლა, როცა ორივე დაბრმავდა, დაავადმყოფდა და თავიანთი რჩენის თავიც აღარა აქვთ, ჩვენი წმინდა ვალია, რომ მივხედოთ და სააქაოს გამოვახედოთო.

ამ სიტყვების მერმე ყველამ მხარი მხარს მისცა, ბებერ მშობლებს სულ ახალთახალი ბუდე აუშენეს და საკუთარი ფრთები გადააფარეს, რათა ჩაეთბუნებინათ. მალევე ცივი წყაროს წყალი მოუტანეს, სულ მაზა-მაზა საზრდოც მოაყოლეს, ფრთხილად გააცალეს გაფიჩხებული ბუმბულიც. თვალისჩინდაბრუნებული და სიცოცხლის ძალააღდგენილი დედ-მამის ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა.

შვილების მადლიერებას მართლაც არცრა არ შეედრება ამ ხანმოკლე წუთისოფელში.

სულგრძელობა

ბუდიდან თავგაყოფილმა არწივის მართვემ ქვევით კლდეებს შორის მფრინავი ჩიტები მოიხილა და დედას ჰკითხა:

— ეგენი რა ფრინველები არიანო.

— სუყველა ჩვენი მეგობარია, — მიუგო დედა არწივმა. — არწივის ხვედრი მარტო ცხოვრებაა, მაგრამ ხანისად ფრინველთა წრეში თუ არ გაერია, ისე რა ფრინველთა მეფე იქნებაო.

დედის პასუხით კმაყოფილმა მართვემ ისევ გულისყურით განაგრძო აღმა-დაღმა მფრინავი ჩიტების ცქერა, რომელთაც უკვე თავის მეგობრებად მიიჩნევდა და უცებ წვრილი ხმით დაიყაშყაშა:

— დედა, დედა, მაგათ საჭმელი მოგვპარესო.

— არა, შვილო, მაგათ არაფერი არ მოუპარავთ, მე თავად ვუმასპინძლეო. ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე: არწივი რაც არ უნდა მშიერი იყვეს, ის მაინც გაუნაწილებს თავის ნადავლს მეზობლად ბინადარ მფრინველთ, რამეთუ დიდ სიმაღლეზე საზრდოს ვერ შოულობენ და წაშველება სჭირდებათო.

ვისაც ერთგული მეგობრების ყოლა სწადს, კეთილი და მომთმენი უნდა იყვეს, სხვისი ჭირი ღობის ჩხირად არ უნდა მიაჩნდეს. პატივდება და დაფასება ძალით კი არ მოიპოვება, არამედ დიდსულოვნებითა და შეჭირვებულისთვის ბოლო ლუკმის გასაყოფად მზადყოფნითო.

ძუ ლომი

მონადირენი ნელა, უჩუმრად ეპარებოდნენ ლომის ბუნაგს, ძუ ლომს, რომელიც ბოკვრებს ძუძუს აჭმევდა, უცებ უცხო რამ სუნი ეცა და უმალ მიხვდა, რომ საშიშროება ელოდა. მაგრამ უკვე გვიანღა იყო. მონადირეებს ალყაში მოექციათ ბუნაგი.

იარაღიანი კაცების დანახვაზე ძუ ლომი შეკრთა და გაქცევით დააპირა თავის შველა, მაგრამ შედგა: უმწეო ნაშიერთ ვერ გაწირავდა!

სიკვდილის წინ თავი რაც შეიძლება დაბლა დახარა, რათა დამიზნებული თოფ-იარაღი არ დაენახა, და განწირული ძუ ლომი ბრდღვინვით პირდაპირ მონადირეებისკენ გადაეშვა. დამფრთხალი მონადირენი ფეხებს სულ ზურგზე იცემდნენ, ისე გარბოდნენ აღმა-დაღმა.

(გაგრძელება იძნება)



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №149-158

ერის გზა ჯოჯოხეთისკენ გრძელი და მაცდუნებელია,

თუმცა რუსეთი ნელ-ნელა ფხიზლდება და ხვდება, რა ჩავიდინეთ 2008-ში

ჩვენ (რუსეთის მოსახლეობას) 2008 წლის აგვისტოს ომი არ გადაგვიტანია, ჩვენ ის, უბრალოდ, ვერ ვიგრძენით, ვერც კი შევამჩნიეთ. ომი გადაიტანა, ან, შესაძლოა, ბოლომდე ჯერ არც გადაუტანია, საქართველომ, რომელსაც ჩვენ ტერიტორიის საკმაოდ მსხვილი ნაწილი ავწაპნეთ – სწორედ ასეთ, გონს მოუსვლელ მდგომარეობაში.

ეს მოხდა სწორედ 10 წლის წინათ. მაშინ რუსეთის ახალი იმპერიალიზმი დაავადების ღია ფაზაში შევიდა: ის ტუბერკულოზივითაა – არსებობს სუსტი წამოხველების სტადია, და არსებობს სისხლით ხველის. ჰოდა, 2008-ში ახალმა რუსულმა იმპერიალიზმმა სისხლით ხველა დაიწყო. ეს იყო პუტინის პირველი ინტერვენცია დიდი ხნის მზადების შემდეგ: თუ მანამდე სისხლს საკუთარ ტერიტორიაზე ვღვრიდით – ჩეჩნეთში, 2008 წელს საერთაშორისო დონეზე გავედით. სწორედ მაშინ – 10 წლის წინათ ცხინვალის რეგიონში გაიარა პუტინმა „მოთელვა“; სწორედ მაშინ გამოსცადა ყველა ეს მექანიზმი – მუქარა, აგრესია, საპიარო, პროპაგანდისტული, სამხედრო და დიპლომატიური მექანიზმები...

დასავლეთმა მაშინ ეს თვალდაუხამხამებლად „გადაყლაპა“, ამჯობინა, უბრალოდ, თვალი დაეხუჭა (ვგულისხმობ ყველა იმ ვითომ „კომისიას“, ვითომ მოლაპარაკებებს, სარკოზის და ა.შ. – მოკლედ მთელ ამ უზნეობას), საბოლოოდ კი მიიღო დონბასიც, მალაიზიური „ბოინგიც“, სირიაც“. ეს ყველაფერი – სწორედ იმიტომ, რომ 10 წლის წინათ დასავლეთმა გადაწყვიტა, „ვერ შეემჩნია“ პუტინის პირველი ღია საერთაშორისო აგრესია!

უნდა ვაღიარო და მოვინანიო: **10 წლის წინათ მე, რა თქმა უნდა, ვხვდებოდი, რომ რუსეთის ხელისუფლება გვატყუებდა, მაგრამ სიცრუის მასშტაბებს ვერ ვაცნობიერებდი, ამიტომაც მომხდარზე პასუხისმგებლობას თანაბრად ვაკისრებდი პუტინსა და სააკაშვილს. რეალურად, იქ არანაირი თანაბარი პასუხისმგებლობა არ ყოფილა! რუსეთმა ომი (8 აგვისტომდე) ბევრად ადრე დაიწყო: ჩვენი სამხედროები პროვოცირებდნენ საქართველოს ხელისუფლებას, შედიოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ცემდნენ, აფეთქებდნენ, კლავდნენ... ომი დაიწყო 8 აგვისტომდე ბევრად ადრე, სააკაშვილი კი უკვე პასუხობდა შეჭრას“.**

ეს მონაცემები მალევე გახდა ცნობილი, მაგრამ მანამდე, დასაწყისში, ვაღიარებ, ნაწილობრივ მაინც დავიჯერე და ვიქეცი კრემლის პროპაგანდის მსხვერპლად – პროპაგანდისა, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ მაშინ ავიდა სრულიად ახალ – „მამალი“ ტყუილის საფეხურზე, ტყუილისა, სიმართლის ყოველგვარი მინარევის გარეშე (მანამდე შიგადაშიგ მაინც სიმართლით აზავებდნენ). სწორედ ამ სერიიდანაა განცხადებები „ცხინვალში ათასობით დაღუპულის“, „ოსი ხალხის გენოციდის“ შესახებ და ა.შ.

მაშინვე გამოსცადეს თავად რუსეთში ისეთი მექანიზმი, როგორიცაა, მაგალითად, კულტურის მოღვაწეთა საყოველთაო მხარდაჭერა (პუტინის ქმედებების) – იმ ადამიანებისა, რომლებმაც მოგვიანებით, ცხადია, ყირიმის მიერთებასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი... პლუს, რა თქმა უნდა, ჩართეს დასავლეთთან მუშაობის მექანიზმი: დასავლელ ლიდერებს ეუბნებოდნენ, „ეს ჩვენი საქმეებია, ჩვენი პრობლემები, თქვენ არ გეხებათ და თავს ნუ აიტკივებთ: რად გინდათ ეს ყველაფერი? აქ ხომ გაზის კონტრაქტები გვაქვს, „მისტრალები“ და ასე შემდეგ, გინდათ, ეს ყველაფერი გადაიხედოსო?!“... – ერთი სიტყვით, მიმართეს ასეთ საგარეო პოლიტიკურ უზნეობას. და დასავლეთში არ აღმოჩნდა არც ერთი ნამდვილი ლიდერი (ეს ხომ ტრამპამდე ხდებოდა), ამას წინ აღდგომოდა.

აი, ეს ყველაფერი სწორედ მაშინ გამოსცადა პუტინის რუსეთმა და სწორედ ამ პროექტით აიღო საერთაშორისო არენაზე სტარტი 10 წლის წინათ. მხოლოდ ამის შემდეგ იყო უკრაინა, სირია და ყველაფერი ის, რაც უკვე ვიცით. ასე, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანი ათწლეული იყო და უაღრესად მნიშვნელოვანია, ახლა მაინც გავაცნობიეროთ, თუ რა მოხდა და რა ჩავიდინეთ!

საერთოდ, რუსი ერის მოგზაურობა ჯოჯოხეთისკენ – ეს გრძელი და მაცდუნებელი გზაა. ჯერ არასოდეს მომხდარა ისტორიაში, რომ ქვეყანას, რომელმაც საკუთარი თავი მსოფლიო მშვიდობას დაუპირისპირა, გაემარჯვოს. და ჩვენც, რაღა თქმა უნდა, ვმარცხდებით. რამდენი ათასი სიცოცხლის გაღება გახდება საჭირო ამის ფასად – არ ვიცი; კიდევ რა უნდა დაემართოს რუსეთის ეკონომიკას? თუმცა ბევრი უკვე ხვდება: ბევრი ის ადამიანი, რომელიც 20 წლის წინათ „შიზოიდს“ მეძახდა, როცა პუტინის შესახებ ხმის ამოღებას ვბედავდი, დღეს უკვე მისგან დისტანცირებას იწყებს; ის, ვინც პუტინს გვერდში ედგა, დღეს უკვე ამას თავს არიდებს, მათ შორის – იგივე კულტურის მოღვაწეები, ექსპერტები და, უბრალოდ, ინტელექტუალები, რომლებიც მას მთელი ამ ხნის განმავლობაში იდეოლოგიურად უმაგრებდნენ ზურგს, – როგორც კი დაფინანსება შეუწყდათ, გამოფხიზლდნენ... მოკლედ, მოსახლეობის შეგნებამდე ეს ყველაფერი ნელ-ნელა, თანაც სხვადასხვა გზებით აღწევს, თუმცა გამოფხიზლება დაწყებულია. უბრალოდ, სამწუხაროდ, იმისათვის, რომ ამ ყველაფრის აღქმა მოსახლეობის ფართო ფენებამდე დავიდეს, აუცილებელია, მოხდეს რაღაც ძალიან სა შინელება. ამიტომაც ჩვენ ვიხდით და მოგვიწევს, სამომავლოდაც ვიხადოთ ამაში ფასი. მთავარია, ახლა მაინც არ გამოგვეპაროს მომენტი და კარგად გავაცნობიეროთ ამ კოშმარული თარიღის – 2008 წლის ომის მე-10 წლისთავის რეალური არსი.

ვიქტორ შენდეროვიჩი,
რუსეთში მოღვაწე პუბლიცისტი, ანალიტიკოსი, საგირიკოსი „აქცენტი“

რა კავშირშია ერთმანეთთან რუსეთ-საქართველოს ომი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი

ბელგიური გამოცემა „New Europe“ აქვეყნებს კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ადამ ტუზის სტატიას, რომელიც საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომსა და მის გლობალურ შედეგებს შეეხება.

ზუსტად ათი წლის წინათ რუსეთის ტანკები, მრავალსაათიანი მარშ-ნახტომის შემდეგ, თბილისის ახლოს შეჩერდნენ. კავკასიაში მომხდარი ხანმოკლე ომი მოასწავებდა დასავლეთის ჰეგემონიის დასასრულს რეგიონში, რომელიც „ცივი ომის“ შემდეგ თითქმის 20 წელი გრძელდებოდა. აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ-უმცროსის მხარდაჭერით იმედმოცემულმა საქართველომ ნატოში გასაწევრებლად მოლაპარაკება დაიწყო, რამაც რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აიძულა, ის „წითელი ხაზი“ დაეცვა, რომელიც მან ერთი წლით ადრე გაავლო: როგორც მან 2007 წელს მიუნხენის კონფერენციაზე განაცხადა, მოსკოვი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას აგრესიის აქტად ჩათვლიდა.

2008 წლის აგვისტოში ევროპელი დიპლომატები აგრესიის შეჩერებას ცდილობდნენ, მაგრამ საქართველოში სიტუაციის გართულებას უკვე რამდენიმე კვირის შემდეგ მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყება დაემთხვა. ვაშინგტონში, ბერლინში, ლონდონში, პარიზსა და მოსკოვში ყველაზე მთავარ საზრუნავ პრობლემად სამხედრო ესკალაციის შესუსტება კი არა, არამედ ბანკების გაკოტრების თავიდან აცილება გახდა. ერთი შეხედვით საქართველოში მომხდარი ომი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენებს არ ჰგავს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით: ჩვენ ყურადღებით უნდა განვიხილოთ და არ უნდა მოვახდინოთ იმ ღრმა ფაქტორების იგნორირება, რომლებმაც ეს კონფრონტაცია გამოიწვია.

დასავლეთის მიერ პოსტკომუნისტური ევროპის შთანთქმა მხოლოდ ხავერდოვანი რევოლუციებით არ ამოიწურებოდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოში გაწევრება ასობით მილიარდიან ინვესტიციებთანაც იყო დაკავშირებული. მათ კრედიტებს ის ბანკები აძლევდნენ, რომლებსაც თავიანთი წვლილი ჰქონდათ შეტანილი ბუმის შექმნაში აშშ-ის უძრავი ქონების ბაზარზე, ასევე დიდი ბრიტანეთში, ირლანდიასა და ესპანეთში. ყველაზე ესტრემალური ინფლაცია უძრავი ქონების ბაზრებზე 2005-2007 წლების პერიოდში ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე გამოიკვეთა – ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში.

რუსეთის მხრიდან აგრესიის თავიდან აცილებისა და უსაფრთხოების გარანტიის მიღებასთან ერთად, პოსტკომუნისტურ ქვეყნებს აყვავებაც სწყუროდათ. 2000-იანი წლების დასაწყისისათვის ექსსაბჭოთა რესპუბლიკები საქართველო და უკრაინა, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირთან ახლოს არ მიუშვეს, შიშობდნენ, რომ უკან დარჩებოდნენ და წინ წასულებთან „დაწევას“ ცდილობდნენ. სწორედ ეს იყო 2003-2004 წლებში მომხდარი ე.წ. ფერადი რევოლუციების ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც განმტკიცებული იყო რწმენით – ეკონომიკური ზრდა, დემოკრატია და პროდასავლური ორიენტაცია ერთად, „ხელი-ხელჩაკიდებული“ არიან. მაგრამ ვალებით დაფინანსებული იმ გლობალური ბუმიდან მოგებას მხოლოდ საბჭოთა კავშირის ყოფილი სატელიტები არ იღებდნენ. ვლადიმერ პუტინის რეჟიმის ძალაც ძირითადად გლობალიზაციის ნაყოფი იყო, კონკრეტულად კი მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის კოლოსალური ზრდა. 2008 წელს ისე ჩანდა, რომ ენერგოგიგანტი „გაზპრომი“, რომელსაც სახელმწიფო აკონტროლებდა, მსოფლიოში გაზის უპრეცედენტო მოხმარების გამო (უპირველესად – ჩინეთში), სულ მალე მსოფლიოში უდიდეს კორპორაციად გადაიქცეოდა.

2008 წელს მაღალი წნევის ეს ორი ფრონტი, გლობალური კაპიტალიზმის წყალობით ჩამოყალიბებული, ევრაზიაში ერთმანეთის შესახვედრად სწრაფად მიდიოდნენ: დასავლურმა ინვესტიციებმა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სტიმული მისცა ეკონომიკურ ზრდას, რომელსაც ენერგია სჭირდებოდა. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო რუსეთის გეოპოლიტიკურ აღორძინებას, რომელიც ენერგორესურსებით მდიდარია.

* * *

2008 წლის აგვისტო-სექტემბრის მოვლენები (ომი და ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი) ორი მტკივნეული და უკიდურესად საგანგაშო „გაკვეთილი“ იყო: პირველი – კაპიტალიზმის დროსაც ხდება ხოლმე კატასტროფები; მეორე – გლობალური ეკონომიკური ზრდა სრულიადაც არ ამტკიცებს ერთპოლარულ მსოფლიო წესრიგს, არამედ ბადებს მრავალპოლარულობას, რაც, თავის მხრივ, კონფლიქტების რეცეპტს წარმოადგენს.

გავიდა ათი წელი, მაგრამ დასავლეთი ძნელად ეგუება ამ ორ დასკვნას. დღეს ყურადღება აზიისკენაა მიმართული, ჩინეთის გაძლიერებისკენ... ვლადიმერ პუტინის რუსეთი კი ისევ სპოილერად რჩება. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ქართული კრიზისი, როცა პირველად გამოჩნდა აშკარად, თუ რამდენად სახიფათო შეიძლება გახდეს ახალი გლობალური ეკონომიკური სისტემა.

„New Europe“ (ბელგია)

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 ჩქაროსნული საავტომობილო გზის გრიგოლეთი - ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის (კმ0+000 - კმ14+400) მშენებლობის პროექტს. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ შრომა 2-ში მდებარე, მოქალაქე **ნინო რუსიძის (პ/ნ 61001012335)** საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 1500 კვ. მეტრი მთლიანი მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.34.02.157) ნაწილი - 279კვ. მეტრი დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე **ნინო რუსიძესთან** (პ/ნ 61001012335) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების - 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ 26.34.02.157)** ნაწილის 279 კვ.მ.-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს 1-1/400 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე **ნინო რუსიძის (პ/ნ 61001012335)** საკუთრებაში არსებულ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.34.02.157) ნაწილზე - 279 კვ. მეტრზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე. დეპარტამენტი უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, ნინო რუსიძის (პ/ნ 61001012335) საკუთრებაში არსებულ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.34.02.157) ნაწილზე - 279 კვ. მეტრზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 ჩქაროსნული საავტომობილო გზის გრიგოლეთი - ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის (კმ0+000 - კმ14+400) მშენებლობის პროექტს. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ ნატანებში (სოფ. ძიმითის მიწები) მდებარე, მოქალაქე **კობა ნიკოლაძის (პ/ნ 21001001647)** საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მთლიანი 1400 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.01.61.232) ნაწილი - 699კვ. მეტრი.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე **კობა ნიკოლაძესთან (პ/ნ 21001001647)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების 1400 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.01.61.232) ნაწილზე - 699კვ.მ-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს 1-1/400 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე **კობა ნიკოლაძის (პ/ნ 21001001647)** საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, მთლიანი 1400 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.01.61.232) ნაწილზე - 699კვ. მეტრზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, **კობა ნიკოლაძის (პ/ნ 21001001647)** საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მთლიან 1400 კვ.მ-ის მიწის მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.01.61.232) ნაწილზე - 699კვ.მ-ზე, ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 ჩქაროსნული საავტომობილო გზის გრიგოლეთი - ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის (კმ0+000 - კმ14+400) მშენებლობის პროექტს. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში (ხიდმაღალა) მდებარე, მოქალაქეების: **გოგიტა ასანიძის (პ/ნ 59001091621), დარეჯანი ასანიძის (პ/ნ 01033006233), იოსებ ასანიძის (პ/ნ 26001006928), მაყვალა ასანიძის (პ/ნ 26001032426)** და **ხათუნა ბოლქვაძის (პ/ნ 26001031258)** (შემდგომში - თანამესაკუთრეები) თანასაკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.15.45.337) მთლიანი ფართობის 7700 კვ. მეტრის ნაწილი - 797 კვ. მეტრი და მასზე განლაგებული შენობა/ნაგებობა (ღობე) და მრავალწლიანი ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების თანასაკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.15.45.337) მთლიანი ფართობის 7700 კვ. მ-ის ნაწილის - 797 კვ.მ-ის და მასზე განლაგებული შენობა/ნაგებობა (ღობე) და მრავალწლიანი ნარგავების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს 1-1/399 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების: **გოგიტა ასანიძის (პ/ნ 59001091621), დარეჯანი ასანიძის (პ/ნ 01033006233), იოსებ ასანიძის (პ/ნ 26001006928), მაყვალა ასანიძის (პ/ნ 26001032426)** და **ხათუნა ბოლქვაძის (პ/ნ 26001031258)** - თანასაკუთრებაში არსებულ, სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.15.45.337) მთლიანი ფართობის 7700 კვ. მეტრის ნაწილზე - 797 კვ. მეტრზე და მასზე განლაგებულ შენობა/ნაგებობაზე (ღობე) ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ლეგენდა

ნონა ევროპის ჩემპიონია!

43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის კეთილი ნების ელჩმა ნონა გაფრინდაშვილმა უფროსი ასაკის ვეტერანთა შორის კონტინენტის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა!

ნორვეგიის ქალაქ დრამენში გამართულ ევროჩემპიონატზე ლეგენდარულმა მოჭადრაკემ 9 შესაძლებლიდან 5,5 ქულა მოაგროვა (3 მოგება, 5 ყაიმი, 1 მარცხი) და მეხუთედ გახდა სენიორთა შორის ევროპის ჩემპიონი. წინა ოთხი გამარჯვება მან 2011, 2015, 2016 და 2017 წლებში იზეიმა. აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან ევროპირველობა უფროსი ასაკის მოჭადრაკეთა შორის ორ კატეგორიაში – +50 და +65 წლამდელებში იმართება.

ნონა გაფრინდაშვილი უფროსი ასაკის მოჭადრაკეთა შორის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონიც გახლავთ. მან ეს ტიტული 1995, 2009, 2014, 2015 და 2016 წლებში მოიგო. ამ ტურნირს წელს სლოვენიის ქალაქი ბლედი უმასპინძლებს.

დრამენში ევროჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს სენიორთა მსოფლიო ჩემპიონატის 5-გზის გამარჯვებული თამარ ხმიადაშვილი დაეუფლა (1998, 1999, 2003, 2010, 2018). მან 5 ქულით დაასრულა პირველობა (4 მოგება, 2 ყაიმი, 3 მარცხი).

კობა კობახიძე

ჩოგბურთი

გორგოძის 60.000-იანი

თბილისელმა ეკატერინე გორგოძემ წარმატებით ითამაშა გერმანიაში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 60.000 დოლარი). ერთეულთა თანრიგში მან ზედიზედ სძლია ჯულია გატო-მონტისკონეს (იტალია, 6:1, 6:2), ანა გაბრიჩს (გერმანია, 6:2, 6:1), ასევე, მასპინძლებს – კატარინა პობგარსკის (6:2, 2:6, 6:2), ანა ზაიას (7:6, 6:1), ლაურა ზიგმუნდს (6:2,6:1) და პირველი ადგილი დაიკავა. საგულისხმოა, რომ ეს წლეულს გორგოძის მესამე გამარჯვებაა ერთეულებში: გერმანულ ტურნირამდე მან მაისის დასაწყისში თბილისის 25.000-იანი, ხოლო 22 ივლისს ასტანის 80.000-იანი ტურნირი მოიგო.

ამავე შეჯიბრებაში მონაწილეობდა სოფიო შაფათავა – წყვილებში მას ყირგიზ ქსენია პალკინასთან ერთად მეორე ადგილი დაიკავა. ქართულ ყირგიზულმა დუეტმა ნახევარფინალში ჯულია გატო-მონტიკონე (იტალია) და მიხაელა ჰონკოვა (სლოვაკეთი) დაამარცხა – 6:4, 6:2, გადამწყვეტი პაექრობა კი მეორე ნომრად განთესილ პოლინა მონოვას (რუსეთი) და შანთალ სკამლოვას (სლოვაკეთი) ტანდემთან წააგო – 4:6, 3:6.

გივი გაგუა

ხელბურთი

მოგებაც, ფრეც

11 ნაკრები მონაწილეობს 18-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც თბილისის ოლიმპიური სასახლე მასპინძლობს. მოასპარეზენი წილისყრით ორ ჯგუფში გადანაწილდნენ.

A ჯგუფი: შვეიცარია, ფარერები, მაკედონია, ესტონეთი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი

B ჯგუფი: ბელარუსი, იტალია, ფინეთი, საბერძნეთი, საქართველო

შეჯიბრების პირველ დღეს საქართველოს ნაკრებმა დრამატული მატჩი ფინეთთან ფრედ დაასრულა – **25:25 (13:14)**

თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე ჩვენები 2 ბურთით ჩამორჩნენ სტუმრებს – 23:25. დროის ამ მცირე მონაკვეთში კალანდაძემ და კუხალაშვილმა კვლავ აღადგინეს წონაწორობა.

მეორე ტურის მატჩში ბელარუსთან – **32:24 (14:10)** აშკარად გამოირჩა საფრანგეთის „მონპელიეს“ მოთამაშე გიორგი ცხოვრებაძე, რომელმაც 20 გოლი გაიტანა. ორთაბრძოლის განმავლობაში მან ოცჯერ დაარტყა მეტოქის კარისკენ და 15 გოლი შეაგდო, დანარჩენი 5 კი შვიდმეტრიანებით მიითვალა.

B ჯგუფის სხვა მატჩები: საბერძნეთი – იტალია 20:27, ბელარუსი-საბერძნეთი 32:22.

ორი ტურის შემდეგ: საქართველო – 3 (57:49), იტალია – 2 (27:20), ბელარუსი – 2 (56:54), ფინეთი – 1 (25:25), საბერძნეთი – 0 (42:59) ქულა.

A ჯგუფი. შვეიცარია – ესტონეთი 33:22, ფარერები – ლუქსემბურგი 26:32, მაკედონია – ლიეტუვა 32:30. ესტონეთი – ფარერები 21:31, ლიეტუვა – შვეიცარია 18:39, ლუქსემბურგი – მაკედონია 25:31.

2 ტურის შემდეგ: შვეიცარია – 4 (72:40), მაკედონია – 4 (63:55), ფარერები – 2 (57:53), ლუქსემბურგი- 2 (57:57), ესტონეთი – 0 (43:64), ლიეტუვა – 0 (48:71) ქულა.

ლექსო ცინცაძე

ძიუდო

რუმინული ნაძავლი

25 ძვეყნის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ რუმინეთის ქალაქ კლუჟ-ნაპოკაში გამართულ ძიუდოისტთა ევროპის თასზე, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა 3 ოქროს, 5 ვერცხლის, 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა.



10 ჯილდოდან 6 ვაჟების ანგარიშზეა: ტატო გრიგალაშვილი (81 კგ), ზაურ კენჭაძე (100 კგ) და გელა ზაალიშვილი (+100 კგ) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. მძიმე წონაში სულაც ქართული ფინალი დაიმართა – ზაალიშვილმა ამირან წიქორიძეს აჯობა.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი ნიაზაშვილმა ფინალი ავსტრიის სახელით მოჭიდავე ვახიდ ბორჩაშვილთან დათმო. ამავე წონაში ბრინჯაოს მედალი უკრაინის სახელით მოჭიდავე გიორგი ჭოხონელიძეს ერგო. 73 კილოში ალეკო მამიაშვილმაც მესამე ადგილი დაიკავა.

ჩვენი ქვეყნის გოგონათა ნაკრები რუმინულ ტურნირში 5 სპორტსმენით ჩაება და მათგან 4-მა მედალი მოიპოვა: ეთერ ლიპარტელიანმა (57 კგ), მარიამ ჭანტურიამ (70 კგ) და სოფიო სომხიშვილმა (+78 კგ) ფინალები დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ, ნატალია ყიფშიძე (48 კგ) კი მესამე ადგილზე გავიდა.

თამაზ პატარიძე

„ოქროს“ ვერ შესწვდნენ

ბუდაპეშტში დამთავრდა ძიუდოისტთა სამდღიანი გრან პრის გათამაშება, რომელიც ქართველმა ფალავნებმა სამი მედლით დაასრულეს – უშანგი მარგიანმა (90 კგ) ვერცხლის, ხოლო ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) და ადამ ოქრუაშვილმა (+ 100 კგ) ბრინჯაოს ჯილდოები დაიმსახურეს.

მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა მარგიანმა უნგრულ ტატამზე ზედიზედ ოთხი მეტოქე ჩამოიშორა: ეგვიპტელი ჰატემ აბდ ელ ახერი, ჰოლანდიელი იასპერ სმინკი, ბელარუსი იაჰორ ვარაპაუ და პირველ ნომრად განთესილი სერბი ალექსანდრ კუკოლი. გადამწყვეტი პაექრობა მან მასპინძელ კრისტიან ტოტთან ვაზარით დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.

პაპინაშვილმა უნგრელ ანდრაშ ვიდას წუთნახევარში ორი ვაზარით აჯობა, ესპანელ ხოაკინ გომესსაც ვადამდე მოუგო. მეოთხედფინალში კი რუსეთის ნაკრების წევრ ალბერტ დოგუზოვთან თავად დამარცხდა მტკივნეული ილეთით. დამამშვიდებელში ჯერ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონს, მონღოლ ბოლდბაატარ განბატს სძლია, „ბრინჯაოს“ ფინალში კი ესპანელი ფრანსისკო გარიგოსი დაამარცხა.

ოქრუაშვილმა ოქრო-ვერცხლის შანსი მეოთხედფინალში დაკარგა ჰოლანდიელ როი მეიერთან წაგებით. მანამდე კი ქართველმა მძიმეწონოსანმა ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვა – ჯერ ეკვადორელ ფრედი ფიგეროასთან, ხოლო შემდეგ – ეგვიპტელ აჰმედ ვაჰიდთან. მესამე ადგილისთვის პაექრობაში ოქრუაშვილმა რუსებს – ტამერლან ბაშაევსა და რუსლან შახბაზოვს აჯობა.

ლაშა დიდია

თაობა

ამჯერად – თურქებთან

საქართველოს 16 წლამდელ ვაჟთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ელიტურ – A დივიზიონში ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი იტალიასთან გამართა და შეხვედრა 55:93 დათმო. გათამაშების ფორმატის მიხედვით, პლე-ოფში ტურნირის მონაწილე 16-ივე გუნდი გადის, რომლებიც მერვედფინალში დაკავებული ადგილების მიხედვით – ჯვარედინი სისტემით დაწყვილდებიან.

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა გუნდმა პირველი პერიოდი 19:18 მოიგო და იტალიელებს მეორეშიც ტოლ-სწორად ებრძოდა. მეოთხედის ბოლოს აპენინელებმა ზუსტი ფარქვეშა გარღვევებით იძალეს და დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 39:32.

მეორე ნახევარში ვითარება შეიცვალა. მესამე პერიოდი ქართველებისთვის ამჯერადაც პრობლემური გამოდგა. კაზანჯიანის გუნდმა ფარქვეშ ბრძოლა წააგო, ხოლო პერიმეტრიდან იტალიელებს მეტი მიზანი აღმოაჩნდათ. ეს ყველაფერი შედეგზე აისახა და იტალიელებმა 7-ქულიანი ჰანდიკაპი სოლიდურ უპირატესობად აქციეს. მესამე ათწუთეულის 21:10 მოგებით აპენინელებმა დასკვნითი პერიოდის წინ 18-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს და მატჩის ბედიც სათავისოდ გადაწყვიტეს.

შეხვედრა ქართველებმა ინერციით ჩაამთავრეს და შეიძლება ითქვას, რომ მომდევნო მატჩისთვის ძალები დაზოგეს. ჩვენი მომავალი მეტოქე ხომ თურქეთი იქნება, რომელიც კაზანჯიანის გაწვრთნილ ნაკრებს 1 თვის წინათ სტამბოლში დამარცხებული ჰყავს. შეგახსენებთ, რომ 13-16 ივლისს საქართველო თურქეთში საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირზე იმყოფებოდა, სადაც საბერძნეთთან და ესტონეთთან ბრძოლაში დამარცხდა, ხოლო მასპინძლებს 64:61 სძლია.

ევროპის ჩემპიონატზე თურქეთმა C ჯგუფში ხორვატეთი და საბერძნეთი დაამარცხა, გერმანიასთან კი უმოტივაციო მატჩი წააგო და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. შესაბამისად, C ჯგუფის პირველადგილოსანი თურქეთი D ჯგუფში მე-4 ადგილზე გასულ საქართველოს შეხვდება. ამ ჯგუფებს შორის საპლეიოფო წყვილები სრულად ასე გამოიყურება:

საფრანგეთი – გერმანია,
ხორვატეთი – იტალია,
ესტონეთი – საბერძნეთი,
თურქეთი – საქართველო.

მივუბრუნდეთ იტალია – საქართველოს მატჩს და აღვნიშნოთ, რომ ჩვენიანთაგან ვლადიმერ თავაქარაშვილი და ალექსი მერკვილაძე გამოირჩნენ. თავაქარაშვილმა 12 ქულა, 7 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოაგროვა, ხოლო მერკვილაძემ 14 ქულას 6 მოხსნა მოაყოლა. ნიკოლოზ კიშკომ 8, ხოლო ნიკოლოზ გაფრინდაშვილმა და დავით აბულაძემ 7-7 ქულა მიითვალეს.

დღეს საქართველოსა და თურქეთის მერვედფინალური მატჩი თბილისის დროით 18 საათზე გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

ერიჰა!

კაცობრიობა მიზანმიმართულად სულელდება!

ბოლო ხანებში მეცნიერებმა დიდი გაოცებით დაადგინეს, რომ კაცობრიობის ინტელექტი განუხრელად იკლებს.

ნორვეგიის რანგარ ფრიპის სახელობის ეკონომიკურ კვლევათა ინსტიტუტის თანამშრომლებმა **ბრენტ ტრატსბერგმა** და **ოლე როგებერგმა** 730 ათასი ინტელექტის კოეფიციენტის (IQ) მონაცემი მიიღეს, რომლებიც რამდენიმე ათწლეულის მანძილზე იყო მიღებული. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ გამოსაკვლევთა ინტელექტი წლიდან წლამდე კლებულობდა. თანამედროვე მამულეთა მონაცემებზე დაკვირვების შედეგად, მათ ახალგაზრდული ფსიქოლოგის ჯეიმს ფილიპის მიერ აღმოჩენილი ფენომენი გაახსენდათ: **მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მან დაადგინა, რომ იმ დროს კაცობრიობის IQ დედამიწის უკლებლივ ყველა კუთხეში იზრდებოდა.**



ამ ეფექტს დოქტორი ფლინი იმით ხსნიდა, რომ უკეთესი ცხოვრების მისაღწევად, ადამიანები რაც შეიძლება მეტი ცოდნის შეძენას ცდილობდნენ და, შესაბამისად, უფრო ჭკვიანები ხდებოდნენ. ამჟამად კი ეს ტენდენცია სრულიად საპირისპიროთი შეიცვალა, შესაბამისად ადამიანებიც უფრო სულელები გახდნენ, თანაც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, **ინტელექტის დაქვეითება ისეთივე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, როგორითაც მანამდე მისი მომატება მიდიოდა.** ბრატსბერგისა და როგებერგის მონაცემებით, რომლებმაც 1970-2009 წლების პერიოდის მონაცემები გააანალიზეს, ყოველი მომდევნო თაობა, საშუალოდ, ინტელექტის 7 ქულას კარგავდა.

თუ ინტელექტის დაქვეითების საყოველთაო ტენდენცია შენარჩუნდება, 2030 წლისთვის კაცობრიობის საშუალო IQ 84 პუნქტს ვერ ასცდება, რაც გონებრივად საშუალო დონის მქონე პირთა მაჩვენებელია.

მაგრამ არის სხვა მოსაზრებებიც. მაგალითად, ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორის **იან დე ნიენიუს** ჰიპოთეზით, **ინტელექტუალური დონე გარკვეული გენეტიკური ზვრითაა შემოფარგლული, რომელსაც კაცობრიობამ უკვე მიაღწია, ახლა კი დეგსადირებს**. ეს, უმთავრესად, იმის გამო ხდება, რომ სუსტი ჭკვიანებზე უფრო სწრაფად მრავლდებიან, რაშიც პროფესორი ქალებს ადანაშაულებს: კარგი განათლების მიღების შემდეგ ისინი შთამომავლობის ყოლისკენ არ მიისწრაფიან და გაცილებით ნაკლებ ბავშვს აჩენენ, ვიდრე მწირი განათლების მქონენი. საბოლოო ანგარიშით კი კაცობრიობა „ჭკვიან“ გენებს კარგავს.

გერმანიის ერლანგენის უნივერსიტეტში კი იმის გამო წუხან, რომ ადამიანებმა მეტი დასვენება დაიწყეს: მეცნიერები ირწმუნებიან, რომ **ზღვაზე უსაქმურად გატარებული ორი კვირა IQ-ს მთელი 20 პუნქტით აქვეითებს,** რაც თავის ტვინის შუბლის უბნების უჯრედების ნაწილობრივი ატროფიის გამო ხდება. არადა, სახიფათო შედეგების თავიდან აცილება ძალიან მარტივად შეიძლება – ვთქვათ, ყოველდღე, თუნდაც 10 წუთის განმავლობაში ტვინს თავისებურად თუ ავარჯიშებთ, თუნდაც კროსვორდების ამოხსნით.

* * *

ინტელექტის დონის განსაზღვრელი ტესტები ბრიტანელმა ფსიქოლოგმა ჰანს იურგენ აიზენკმა მოიგონა. მათში საჭირო იყო ლოგიკური ამოცანების ამოხსნა, ასოებითა და ციფრებით მოხერხებულად მანიპულირება, ასევე გარკვეულ დროში აბსტრაქტული შარადების გამოცნობა. სწორ პასუხებში ქულები ირიცხება, რომელთა ჯამი, საბოლოო ანგარიშით, IQ-ს – ინტელექტის კოეფიციენტს – იძლევა. საშუალო ინტელექტის პატრონი ადამიანები 80 ქულაზე ნაკლებს აგროვებენ, საშუალოდ ითვლება 90-დან 115 ქულამდე შუალედი, ხოლო 120-160 ქულა უკვე მაღალი ინტელექტის ნიშანია.

არადა, ისიცაა, რომ ბევრნი ეჭვობენ, რომ IQ-ტესტებით შეიძლება დადგენა, თუ რამდენად ჭკვიანია ადამიანი. ადამიანი რაღაცაში შეიძლება გენიოსი იყოს, მაგრამ რაღაცაში ჩლუნგი, – ამბობს პროფესორი ადრიან ოუენი. მისი აზრით, ინტელექტის დონის ერთიანი მაჩვენებლით განისაზღვრა, ძალიან დიდი შეცდომაა.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ვიდრე წუწუნს დაიწყებდეთ!..

ცხადია, ეს სრული ფანტასტიკის სფეროა, თუმცა მისი მეშვეობით თვალნათლივ შეიძლება იმის წარმოდგენა, თუ როგორია დღევანდელი კაცობრიობის პროცენტული შემადგენლობა სხვადასხვა პოზიციის მხრივ.

წარმოიდგინეთ, რომ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა სულ 100 კაცამდე შემცირებულიყო, მაშინ მათგან 57 კაცი აზიელი იქნებოდა, 21 – ევროპელი, 14 – ორივე ამერიკის მკვიდრი და მხოლოდ 8 – აფრიკელი.

„იმ“ ას ადამიანში 52 ქალი იქნებოდა, 48 – მამაკაცი. მათგან 30 – თეთრკანიანი, 70 ფერადკანიანი აღმოჩნდებოდა.

თუკი ამ ასკაციანი გუნდის რელიგიურ მრწამსს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ამ „ოქროს გუნდში“ 30 ქრისტიანია, 70 – არაქრისტიანი, სქესობრივი ორიენტაციის მხრივ კი მათგან 89 – ჰეტეროსექსუალი, 11 ჰომოსექსუალია.

ძალზე არათანაბრად განაწილებულია ადამიანებს შორის სიმდიდრეც: ასიდან მხოლოდ 6 ადამიანს მსოფლიო სიმდიდრის 59 პროცენტი ეკუთვნის, თანაც მათ შორის ყველანი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები არიან.

თუკი ამ მასშტაბშემცირებულ მსოფლიოს განჩხრეკას განვაგრძობთ, მივხვდებით, რომ ასიდან 80 კაცი ღარიბია, 70 – წერა-კითხვის უცოდინარი, 50 – შიმშილობს, ან საკვები არასაკმარისად აქვს.

გარდა ამისა, შესაძლებელია იმის თქმაც, რომ დროის ნებისმიერ მომენტში ერთი ადამიანი იბადება, ერთი კი გარდაიცვლება, ასიდან ერთს კომპიუტერი ექნებოდა, ერთსაც – უმაღლესი განათლება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუკი სახლში მაცივარი გაქვთ, რომელშიც თუნდაც რაღაც საკვები ინახება, სხეული შემოსილი გაქვთ, თავზე ჭერი გაფარიათ და დასაძინებელიც გაქვთ, თქვენ დედამიწის მოსახლეობის 75 პროცენტზე შეძლებულად ცხოვრობთ.

არც იმის ცოდნა უნდა იყოს ინტერესმოკლებული, რომ თუკი ბანკში თუნდაც რაღაც ანგარიშის პატრონი ხართ, ანდა ჯიბეში მწირი თანხა მაინც გიდევთ, თქვენ ასიდან მხოლოდ რვა „ფულიანის“ რიცხვს მიეკუთვნებით. აი, ასეთი გახლავთ ჩვენი სამყარო და როცა ზოგჯერ წუწუნს ვიწყებთ, ზემოთ მოყვანილი სტატისტიკის გახსენება, ალბათ, ურიგო არ იქნება.

ნინო ალექსანდრია

სანთელი

დათო ერქვანია ოჯახით თანაუგრძნობს თენგიზ მახარაძეს დედის

კლარა მუჯირის

გარდაცვალების გამო.

თუ რამე იცის, დღემდე ვინ დააკავა? რატომ არ ეუბნება

– ამ განცხადებით, ჭყონდიდის მიტროპოლიტი მეუფე პეტრე მეუფე იაკობის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება, სადაც მეუფე იაკობმა მამა გიორგი მამალაძე ავაზაკად მოიხსენია და მამა კახაბერის შანტაჟში დაადანაშაულა. მეუფე პეტრეს განცხადებით, მისი ჩვენებები, განცხადებები შეუფერებელია მღვდელმთავრის საქციელისთვის.

მეუფე პეტრე ამბობს, რომ სიჩუმეს არა აქვს არანაირი გამართლება. მეუფე პეტრე მეუფე იაკობის განცხადებებს უპასუხისმგებლოს უწოდებს და მას ჭორების გავრცელებაში ადანაშაულებს. მისი თქმით, სინოდის სხდომას უნდა შეექმნა კომისია, რომელიც ე.წ. ციანიდის საქმეს შეისწავლიდა. მეუფე პეტრე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომას ე.წ. ციანიდის საქმეს უკავშირებს

მეუფე პეტრე უმოქმედობაში მეუფე შიოსაც ადანაშაულებს და ამბობს, რომ ის არ დაინტერესდა უდანაშაულო ადამიანის ბედით, რომელიც დღემდე ციხეში ზის და სასჯელს იხდის.

8 შვილი სახლში ჰყავდა გამოკეტილი

მამა, რომელსაც სვანეთში 8 შვილი სახლში ჰყავდა ჩაკეტილი, დაკავებულია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამირან დევნოზაშვილს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის დარღვევას ედავებიან.

ამირან დევნოზაშვილს 8 შვილი – სამი ბიჭი და 5 გოგო ჰყავს. შვილების სახლში გამოკეტვის მიზეზად მამა იმ არგუმენტს ასახელებდა, რომ ისინი საზოგადოებისგან მხოლოდ ცუდს ისწავლიდნენ.

საშობაიარო სახლ „ნინოში“ 35 წლის მშობიარე ქალი გარდაიცვალა

არსებული ინფორმაციით, ქალს მშობიარობიდან ორი საათის შემდეგ სისხლდენა დაეწყო, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ ის ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

35 წლის ქალი ოპერაციის დაწყებიდან მალევე გარდაიცვალა.

ნარკორეალიზატორს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანისთვის ბრალდებული, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ი.ა. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ი.ა-მ აზერბაიჯანში უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები „მეტადონი“, „მეტამფეტამინი“ და „ჰეროინი“, რომლებიც სხეულში დამალვის გზით, 2018 წლის 19 თებერვალს, სასაზღვრო-გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ გავლით, უკანონოდ შემოიტანა საქართველოში.

სამართალდამცავებმა ი.ა საქართველოში შემოსვლისთანავე, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ „წითელ ხიდში“ დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 0,386 გრ. ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ (მარილი), დიდი ოდენობის 0,5811 გრ. ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინი“ (მარილი) და განსაკუთრებით დიდი ოდენობის 6,2437 გრ. ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. რუსთავის საქალაქო სასამართლომ ი.ა დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

გილოცავთ!

პატივისცემითა და სიყვარულით

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელსა და პირველ თანათავმჯდომარეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის ბრწყინვალე საზოგადოების გამორჩეულ წარმომადგენელს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქართველოს რძის“ ყოფილ თავმჯდომარეს, რძის მრეწველობის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის უშუალო ავტორსა და თავკაცს, პირველი ამერიკულ-ქართული რძის საწარმო „სანტეს“ დამფუძნებელს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და მის წევრს, ღირსების ორდენის კავალერსა და დიდებულ მამულიშვილს, ბატონ

დავით დათოშვილს.

ღირსეულ მამულიშვილს, ღვაწლმოსილ პიროვნებას, პროფესიონალ სახელმწიფო მოხელეს, აფხაზეთის ომის ვეტერანს, თადარიგის პოლკოვნიკს, ბატონ

ხუტა გუგუჩიას

ღრმად პატივცემულო, ბატონო ხუტა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა პატივისცემით გილოცავთ თქვენი ცხოვრების ღირსეულად განვლილ 85 წლის იუბილეს. თქვენი ცხოვრების წესით, მოქალაქეობრივი აქტიურობით, ეროვნული სულისკვეთებით, პატრიოტიზმით, მაღალი პროფესიონალიზმით მისაბაძი მაგალითი ბრძანდებით და ღრმად ვართ დარწმუნებული, კიდევ დიდხანს დარჩებით სამაგალითოდ ჩვენი და მომავალი თაობებისათვის.

ბატონო ხუტა, თქვენისთანა ღირსეული მამულიშვილები, რომლებშიც ჰარმონიულად არის შერწყმული ჩვენი კუთხის გამოჩენილი შვილებისათვის დამახასიათებელი მაღალი ზნეობის, ადათ-წესების, ტრადიციების პატივისცემა და პროფესიული საქმიანობისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, წარმოადგენთ საქართველოს ძირძველი კუთხის – აფხაზეთის ადმინისტრაციული რესურსების ოქროს ფონდს.

გვეამაყება თქვენ მიერ სახელოვნად განვლილი გზა. კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანის სიმრთელეს, ოჯახურ ბედნიერებას, თქვენს ნაშენებ, ნალოლიავებ აფხაზეთში დაბრუნებას.

გფარავდეთ უფალი.

პატივისცემით,
აფხაზეთის ა. რ. მთავრობის სახელით
ვახტანგ ყოლბაია

აფხაზეთის ა. რ. უმაღლესი
საბჭოს სახელით
ელგუჯა გვაზავა

ისრაელში „ევროვიზიის“ გამართვა შესაძლოა, ჩაიშალოს

ერთ დღეში, თუ ისრაელის ხელისუფლება ევროპის სამაუწყებლო კავშირს (EBU) 12 მილიონ ევროს არ გადაურიცხავს, ისრაელში კონკურსი „ევროვიზია“ არ გაიმართება, ამის შესახებ კორპორაციის ხელმძღვანელმა გილ ომერმა ბენიამინ ნეთანიაჰუს წერილობით აცნობა.

ომერი წერს, რომ ამ დრომდე მათთვის უცნობია და მათ არ მიუღიათ დასტური, რომ სახელმწიფო მზად არის „ევროვიზიის“ ინვესტირება მოახდინოს. თავად კორპორაცია „კანი“ საკუთარი თანხების ჩადებას არ აპირებს, რადგან, თუ სახელმწიფოსგან ის ფინანსებს არ მიიღებს, EBU მას ფულს არ დაუბრუნებს.

10 დღეში ანაკლიაში ECHOWAVES-ის ფესტივალი დაიწყება

ანაკლიაში ფესტივალ Echowaves-ის დაწყებამდე 10 დღე რჩება. პროექტი პოპულარული სერბული ფესტივალის EXIT-ის ქოლგის ქვეშ გაიმართება. ფესტივალი პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში ტარდება.

ვისაც დაბინავებაზე ჯერ არ უზრუნია, შეუძლია, ფესტივალის ტერიტორიაზე დაბანაკდეს. მთავარ სცენასთან რამდენიმე ასეულ მეტრში კარვების ზონა მოეწყობა, სადაც სტუმრები 6 დღის განმავლობაში დარჩენას შეძლებენ. ტერიტორიაზე 1200 კაცზე გათვლილი 600 კარავი დაიდგმება. ფასი 250 ლარია. ელექტრონული მუსიკის ფესტივალი Echowaves ანაკლიაში 23-26 აგვისტოს გაიმართება. ფესტივალი მსოფლიოში ცნობილ არტისტებს უმასპინძლებს.

მაინც ქომაგობს

აწ უკვე საფრანგეთში გადაბარგებული ლეგენდარული იტალიელი გოლკიპერის ჯანლუიჯი ბუფონის ყოფილი ცოლი, ჩეხი მოდელი ალიონა სერედოვა მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ ქმარზე დღესაც ნაწყენია (როგორც იცით, ჯიჯიმ მეუღლეს ახალგაზრდა მოცეკვავესთან უღალატა), მას კარიერაში მაინც დიდ წარმატებას უსურვებს.

ალიონა სერედოვა ამბობს, რომ პირადი წყენის გამო არასოდეს დაუკარგავს რეალობისა და ობიექტურობის შეგრძნება და მან კარგად იცის, რომ ჯანლუიჯი ბუფონი ეპოქალური გოლკიპერია, რომლის დარიც ჩვენს პლანეტაზე ბევრი არ მოიძებნება. ალიონას უხარია, რომ სწორედ ასეთი ლეგენდარული კაცია მისი შვილების მამა.

„გამოგიტყდებით და ფეხბურთში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ ჯანლუიჯის გამო ტურინის „იუვენტუსს“ წლების მანძილზე მთელი გულითა და სულით ვქომაგობდი. ახლა კი, რაკი ბუფონი სათამაშოდ საფრანგეთის დედაქალაქში წავიდა, ასევე მთელი გულით „პსჟ“-ს ვუქომაგებ“, – ამბობს აპენინელი გოლკიპერის ყოფილი ცოლი.

გიორგი შოთაძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 16 აგვისტოს

საქართველოს რესპუბლიკა

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5339; ევრო - 2.9061;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2376;
100 რუბლი - 3.9028; თურქული ლირა - 0.4995;
ავსტრალიური დოლარი - 1.4949;
1000 სომხური დრამი - 5.2571.

ამინდი 14 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +28
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +30
თბილისი: ღამე +17, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge